# საქართველოს რესპუბლიკა



ⴈⴋⴈⴑⴇⴀⴌⴀ ⴜⴋⴈⴌⴃⴀ ⴑⴀⴕⴋⴄⴘⴈ, ⴐⴍⴂⴍⴐⴈⴚ ⴁⴄⴝⴃⴅⴓⴐⴈ ⴑⴈⴒⴗⴅⴀⴀ, ⴒⴗⴓⴈⴊⴄⴁⴈⴇ ⴃⴀ ⴝⴍⴐⴄⴁⴈⴇ ⴁⴓⴐⴇⴈⴑ ⴂⴀⴒⴀⴌⴀ ⴗⴅⴄⴊⴀ ⴓⴉⴀⴃⴐⴈⴑⴍⴁⴀⴆⴄ ⴓⴑⴀⴛⴀⴂⴊⴄⴑⴈⴀ.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 27 სექტემბერი, 2014 წელი.

№197 (7578)



ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge



ვებ გვერდი: www.open.ge


ფასი 50 თეთრი.



# პრეზიდენტისა და მისი სასახლის ირგვლივ კინკლაობა გრძელდება

სასახლის გასხვისებით ქვეყანა დაისჯება და არა მარგველაშვილი. დავუშვათ, ხვალ ან ზეგ საქართველოს უფრო გონიერი პოლიტიკოსები გამოუჩნდნენ, გამორიცხული ხომ არ იქნება, პრეზიდენტის სასახლის აშენება?

რა გამოდის, ყოველმა ახალმა ხელისუფლებამ ახალი სასახლე უნდა აშენოს?!


4


# ქიული შარტავა – აღმასვლა გოლგოთაზე



გარშემორტყმულთა დასახმარებლად არავინ მოსულა. და რეალურად მოზეიმე გამარჯვებულებს ალმოდებული ქალაქის ცენტრის გავლით თვალისგან მოშორებით – მიჰყავდათ ტყვეები ანგარიშსწორებისათვის. მისი დეტალები უცნობია: თბილისში სოხუმიდან ჩამოიტანეს ცხედარი მხოლოდ ერთი ადამიანისა – მეთაურისა, ქიული შარტავასი. სხვები სად არიან?


5


# ქართული პოლიტიკური ემიგრაცია უკრაინაში




„დაფიქსირდა საქართველოდან უკრაინაში იმ ექსტრემისტული ორგანიზაციების წევრთა ჩამოსვლა, რომლებიც ქართული სპეცსამსახურების მიერაა შექმნილი. აგენტურასთან ერთად უკრაინაში ცხოვრება დაიწყეს ქართული სახელმწიფო სტრუქტურების ყოფილმა კადრის მოსამსახურეებმა, ძალოვანი უწყებების წარმომადგენლებმა“.


3


კვირაძალს საკითხავი

# იორდანე და სოდომ-გომორი



სერიიდან „წმინდა მიწა“


6
7


# მოწოდებით მაინც მხატვრად ვრჩები



თბილისში ყოფნისას, ძირითადად ღამის საათებში ხელში ფუნჯს ვიღებ და საყვარელ მოლბერტს დროდადრო ვუბრუნდები.

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

# ოკუპირებულ რეგიონებში უცხოური დელეგაციების კანონდარღვევით ვიზიტები გახშირდა



**აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ვახტანგ ყოლბაიას განცხადებით, უკანასკნელ პერიოდში ოკუპაციის შესახებ კანონის დარღვევით უცხოური სტრუქტურების ვიზიტები საქართველოს ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიებზე გახშირდა. ამის შესახებ ვახტანგ ყოლბაიამ სასტუმრო „თბილისი მარიოტში“„ მიმდინარე საერთაშორისო კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა. კონფერენციის თემა გახლდათ „ტერიტორიული ოკუპაციის სამართლებრივი საკითხები აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“.**

„სამწუხაროდ, ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის დარღვევით, უკანასკნელ პერიოდში გახშირდა გარკვეული უცხოური სტრუქტურების ვიზიტები და აქტიურობები საქართველოს ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიაზე. მსგავსი საქმიანობა არანაირად არ უწყობს ხელს კონფლიქტების მშვიდობიან დარეგულირებას. შესაძლოა, გამოითქვას კონტრარგუმენტი, რომ ისინი არიან უცხოური არასამთავრობო და არაკომერციული ორგანიზაციები და, შესაბამისად, მათზე არ ვრცელდება შეზღუდვები, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ ეს არ არის მთლად სწორი. ვინაიდან, არასამთავრობო ორგანიზაციები არ არიან აბსტრაქტული სტრუქტურები და ისინი წარმოადგენენ სახელმწიფო მოწყობის სისტემის ნაწილს და მათი საქმიანობა არ უნდა სცილდებოდეს სახელმწიფო სამართლებრივ ჩარჩოებს. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ჩვენმა მეგობარმა ქვეყნებმა, საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა მოახდინონ ქმედითი ზეგავლენა არასამთავრობო სტრუქტურებზე, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად ახორციელებენ გარკვეულ საქმიანობას ოკუპირებულ ტერიტორიებზე“, — განაცხადა ვახტანგ ყოლბაიამ.

მისივე თქმით, თავს შეიკავებს კონკრეტული ქვეყნების დასახელებისგან, რომელთა დიპლომატიური წრეები, არასამთავრობო და კომერციული სტრუქტურები ბოლო პერიოდში ხშირად სტუმრობენ აფხაზეთს და იქ ეწევიან სხვადასხვა საქმიანობას.

მოგვიანებით, საუბარში ყოლბაიამ ერთ-ერთ ასეთ ქვეყანად თურქეთი დაასახელა, საიდანაც ცოტა ხნის წინათ აფხაზეთში განხორციელდა დეპუტატების ვიზიტი.

# აფხაზეთში, შესაძლოა, აჩადარას სამარხიც გაიხსნას

**აფხაზეთში, ბაბუშერას სამარხის შემდეგ, აფხაზურ მხარესთან მოლაპარაკებები აჩადარას სამარხის გახსნაზეც მიმდინარეობს. პროცესი წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მეშვეობით გრძელდება.**

როგორც პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ვოლსკიმ პრესკონფერენციაზე განაცხადა, აჩადარას სამარხში სავარაუდოდ, 44 ქართველი მეომრის ნეშტი განისვენებს.

დეპუტატის თქმით, ეს ის მეომრები არიან, რომლებიც 1993 წლის 27 სექტემბერს, სოხუმში, მინისტრთა საბჭოს შენობას ბოლომდე იცავდნენ.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დახმარებით, აფხაზურ მხარესთან გამართული მოლაპარაკებების შედეგად, 2014 წლის გაზაფხულზე ბაბუშერას სამარხი გაიხსნა, საიდანაც თბილისში 31 ქართველი მეომრის ნეშტი გადმოასვენეს.

**დედაქალაქი**

# ავტობუსების პარკი განახლებას საჭიროებს



**ამის შესახებ თბილისის მერმა დავით ნარმანიამ სატრანსპორტო საშუალებების წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს განაცხადა. მისი თქმით, შემოყვანილი იყო მეორადი მოხმარების ავტობუსები და სწორედ ისინი საჭიროებენ განახლებას.**

„ჩვენ ამ კუთხით აქტიურად ვმუშაობთ და გადავწყვეტთ, როგორ მოხდება აღნიშნული პრობლემის გამოსწორება. ჯერჯერობით კონკრეტულად არ გვაქვს გადაწყვეტილი, დაემატება თუ არა ახალი ავტობუსები და როგორ მოხდება მისი მოდერნიზაცია. ეს სერიოზულ ინვესტიციას საჭიროებს“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

მან ასევე ისაუბრა მეტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ერთი დამატებითი მეტროსადგურის მშენებლობაზე, ტენდერი უკვე დასრულებულია.

„ჩემი მინისტრობის დროს დავიწყეთ ერთი დამატებითი მეტროსადგურის მშენებლობა ვაჟა-ფშაველას ხაზზე, ახლა უკვე ტენდერი დასრულებულია და კომპანიის შერჩევა მიმდინარეობს მუნიციპალური განვითარების ფონდისა და აზიის განვითარების ბანკის მიერ, რომლის დასრულების შემდეგაც დაიწყება დამატებითი მეტროსადგურის მშენებლობა“, — განაცხადა თბილისის მერმა.

* * *

**პუშკინის ქუჩაზე ესტაკადის მშენებლობა 2015 წლიდან დაიწყება, — ამის შესახებ თბილისის მერმა დავით ნარმანიამ ჟურნალისტებს განუცხადა.**

მისი თქმით, თავის დროზე არსებული გათხრების შედეგად პუშკინის ქუჩაზე ორმხრივი მოძრაობა შეიზღუდა და უკვე რამდენიმე წელია, მხოლოდ ცალმხრივი მოძრაობაა შესაძლებელი.

„აღნიშნულმა დისკომფორტი შეუქმნა მძღოლებს და გაჩნდა საცობები თავისუფლების მოედნის მიმდებარე ქუჩებზე, მათ შორის თბილისის ძველ უბანში და აქედან გამომდინარე, დამატებით ზიანდება ის შენობა-ნაგებობები, რომლებიც ამ ქუჩებზე არიან განლაგებული, მოიმატა ხმაურმა და მოსახლეობა განიცდის დისკომფორტს. თანამედროვე საინჟინრო მიდგომები და სარგებლობები გვაძლევს იქ ესტაკადის გაკეთების საშუალებას, რომელიც არსებული ერთზოლიანი მოძრაობიდან რამდენიმე ათეული სანტიმეტრით იქნება დაშორებული და თანამედროვე ფორმით კი არ გაკეთდება, არამედ გაკეთდება იმ ფორმით, რომელიც ძველი ქალაქის და ისტორიული მემკვიდრეობის ნაწილთან იქნება შესაბამისობაში, რისთვისაც ჩვენ ვაცხადებთ საჯარო კონკურსს“, — განაცხადა ნარმანიამ.

— მას შემდეგ, რაც ჩვენმა წინამორბედებმა ბეტონი დაასხეს იქ გათხრებს, მან დაკარგა ისტორიული მემკვიდრეობის სტატუსი. ესტაკადა გაკეთდება ისე, რომ ხელს არ უშლის იქ ტურისტების მისვლას, იქ იქნება დამატებით განათება და არანაირი დისკომფორიტი არ შეექმნება ტურისტებს, თუმცა მეორე მხრივ, დისკომფორტი მოეხსენება იქ მცხოვრებ მოსახლეობას, რომლებიც საცობების შედეგად არიან უკმაყოფილოები, მათ შორის არის დიდი უკმაყოფილება მძღოლებში.




# გაიხსენეს საქართველოს ეროვნული გმირი

**საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში ჟიული შარტავა გაიხსენეს. წმინდა ანდრია პირველწოდებულის ქართულ უნივერსიტეტში ჟიული შარტავას დაბადებიდან 70 და გარდაცვალებიდან 21 წლისთავთან დაკავშირებით, შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია, ჟიული შარტავას ოჯახის წევრები, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები ესწრებოდნენ.**

შეხვედრაზე წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორმა სერგო ვარდოსანიძემ ჟიული შარტავას ცხოვრების გზა გაიხსენა და აღნიშნა, რომ 2013 წლის 27 სექტემბერს, ჟიული შარტავას განსაკუთრებული გმირობის გამო, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ჯილდო — წმინდა გიორგის ორდენი მიანიჭა.

სერგო ვარდოსანიძემ ასევე გაიხსენა ის პირები, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე აფხაზეთში სამშობლოს თავისუფლებას შესწირეს. მათ შორის გაიხსენეს მამია ალასანია, რომელიც სოხუმის დაცემის დღეს დაიღუპა.

„მე მქონდა ბედნიერება, 21 წლის წინ, 27 სექტემბერს გამთენიისას შევხვედროდი ბატონ ჟიული შარტავას, ბუნებრივია, არ ვიცოდი, რით დასრულდებოდა ეს დღე. მაგრამ განსაკუთრებული განცდა მეუფლებოდა, როდესაც ვხედავდი ჟიული შარტავას, გამორჩეულს ყველასგან თავისი საუბრით, გარეგნობით, თავისი დამაჯერებლობით, მე, პირადად, შვილებთანაც და სამხედრო ძალებში მოსულ ჯარისკაცებთანაც მუდამ ვსაუბრობ სწორედ ისეთ გმირებზე, როგორიც იყო ჟიული შარტავა“, — აღნიშნა თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ.

თავდაცვის მინისტრმა აღნიშნა, რომ როდესაც აფხაზებთან ჰქონდა შეხვედრები და საუბრები, ისინი ყოველთვის სინანულს გამოთქვამდნენ ჟიული შარტავას მიმართ. ალასანია დარწმუნებულია, რომ აფხაზებსა და ქართველებს შორის შერიგების ნაბიჯი გადაიდგმება და მომავალი ურთიერთობების აღდგენაში ჟიული შარტავას ხსოვნა თავის როლს შეასრულებს.

**SIC!**

# „დასჯილი“ პარლამენტარები

## 14 დეპუტატის ჯიბე 15 227 ლარით შემსუბუქდა

**პარლამენტის ხელმძღვანელობამ ურჩი დეპუტატები დასაჯა. სხდომების გაცდენის გამო, 14 დეპუტატს მაისს-ივნისის ხელფასიდან საერთო ჯამში 15 227 ლარი ჩამოეჭრათ.**

შესაბამისი გადაწყვეტილება საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელობამ მას შემდეგ მიიღო, რაც საგაზაფხულო სესიაზე, პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა რეგლამენტში არსებული იმ ჩანაწერის დაცვა მოითხოვა, რომლის გათვალისწინებითაც, კანონმდებელს რამდენიმე არასაპატიო გაცდენის გამო, ხელფასის 10 პროცენტი ეჭრება.



დასჯილ დეპუტატებს შორის უმცირესობის ცხრა წევრია, ორი დამოუკიდებელი დეპუტატი, ხოლო სამი უმრავლესობის წარმომადგენელი.

კერძოდ, მაისში, ვიცე-სპიკერ გიორგი ბარამიძეს ხელფასიდან — 1101 ლარი ჩამოეჭრა, მარიკა ვერულაშვილს — 758 ლარი, გოგა ხაჩიძეს — 861 ლარი, გიორგი კარბელაშვილს — 861 ლარი, აკაკი მინაშვილს — 861 ლარი, დავით საყვარელიძეს — 861 ლარი, გიორგი მელაძეს — 861 ლარი, კობა ნაყოფიას — 758 ლარი, ირაკლი ჩიქოვანს — 1067 ლარი, მარიამ საჯაიას — 1895 ლარი, ხოლო რამაზ ნიკოლაიშვილს — 1257 ლარი.

აღსანიშნავია, რომ პარლამენტის ხელმძღვანელობამ მარიამ საჯაია და რამაზ ნიკოლაიშვილი ივნისშიც დასაჯა და მათ ხელფასიდან ისევ სოლიდური თანხა ჩამოაჭრა. თუ ამერიკაში სასწავლებლად წასულ საჯაიას ხელფასის 30 პროცენტი — 1137 ლარი დაექვითა, ნიკოლაიშვილს ხელფასის 40 პროცენტის - 1676 ლარის დათმობა მოუწია.

საჯაიასა და ნიკოლაიშვილის გარდა, ივნისში ხელფასიდან თანხები კიდევ რამდენიმე დეპუტატს ჩამოეჭრა. მათ შორის, გია გაჩეჩილაძეს 419 ლარი დაექვითა, გოგი თოფაძეს - 463, 5 ლარი, ვიქტორ ჯაფარიძეს კი — 390, 5 ლარი.

დეპუტატების ანაზღაურებიდან დაქვითული თანხები პარლამენტის ბიუჯეტში დარჩება თუ წინა მოწვევის უწყების ტრადიციისამებრ, რომელიმე სოციალურ ფონდში გადაირიცხება, ამის შესახებ ინფორმაციას საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი კახიანი არ ფლობს და გვპირდება, რომ საკითხს გაარკვევს.

მერვე მოწვევის პარლამენტის ხელმძღვანელობას რეგლამენტში გაწერილი სანქციები 2012 წლის 21 ოქტომბრის შემდეგ მალევე რომ გამოეყენებინა, ქუთაისში მდებარე პარლამენტის შენობაში ხშირად კვორუმის პრობლემა არ იქნებოდა, მაგრამ რატომღაც, დავით უსუფაშვილი სანქციების ამოქმედებისგან თავს იკავებდა და კანონმდებლებს საკუთარი ვალდებულების შესრულებას სიტყვიერად სთხოვდა. მას შემდეგ, რაც მისმა არც თხოვნამ გაჭრა და არც მუქარამ, სპიკერი მუქარის აღსრულებაზე გადავიდა, რამაც ნაწილობრივ შედეგი გამოიღო, რადგან მიმდინარე წლის მარტის შემდეგ, კომიტეტებისა და პლენარულ სხდომებს შედარებით მეტი დეპუტატი ესწრებოდა და კვორუმის პრობლემაც შედარებით მოგვარდა.

რაც შეეხება ხელფასების დაქვითვის პროცესის გაგრძელებას, კახიანის ინფორმაციით, სექტემბრის მონაცემები ოქტომბრის დასაწყისში შეჯამდება. შესაბამისად, პარლამენტის ხელმძღვანელობას დასასჯელ დეპუტატთა ახალი სიის შედგენა ოქტომბერში მოუწევს.

**თეონა მანაგაძე**

ვინ ვინ არის



# ქართული პოლიტიკური ემიგრაცია უკრაინაში

**საქართველოში მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის კრახის შემდეგ ქართველი ჩინოვნიკებმა და პოლიტიკურმა ფუნქციონერებმა ქვეყნის დატოვება დაიწყეს: ზოგს კორუფციაში ბრალდებისა შეეშინდა, ზოგმა კი საზღვარგარეთ უკეთესი ცხოვრება მოიწყო.** სამშობლო დატოვეს თვითონ მიხეილ სააკაშვილმა, თავდაცვის ექს-მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა, ეკონომიკის ექს-მინისტრმა ვერა ქობალიამ და სხვებმა, მაგრამ ვანო მერაბიშვილმა გაქცევა ვერ მოასწრო, იგი დღეს პატიმრობაში იმყოფება კორუფციაში ბრალდებით. ვერ ვიტყვით, რომ ემიგრაცია მოულოდნელი იყო, პირიქით, ეს სავსებით ლოგიკური მოქმედებაა, როცა ადამიანს ცუდი საქმეები აქვს ჩადენილი. მაგრამ ფენომენი იმაშია, რომ საქართველოდან წასულთა უმრავლესობა უკრაინაში მოკალათდა, — ნათქვამია „ოდნა როდინაში" გამოქვეყნებულ სტატიაში (ავტორი — ოქსანა ბელოვა).

რატომ მაინცდამაინც უკრაინაში?

**„ქართველები უკრაინაში ადრეც ემიგრირებდნენ. 1990-ანი წლებიდან მოყოლებული, უკრაინაში ბინა დაიდო ბევრმა ქართველმა, მათ შორის, კრიმინალებმაც. იყვნენ და არიან ბიზნესმენებიც. ქართული პოლიტიკური ემიგრაციის შესწავლისას კი გაირკვა, რომ ნაკადის გააქტიურება განსაკუთრებით 2014 წლის დასაწყისიდან ხდება, „ევრომაიდნის" შემდეგ. დაფიქსირდა საქართველოდან უკრაინაში იმ ექსტრემისტული ორგანიზაციების წევრთა ჩამოსვლა, რომლებიც ქართული სპეცსამსახურების მიერაა შექმნილი. აგენტურასთან ერთად უკრაინაში ცხოვრება დაიწყეს ქართული სახელმწიფო სტრუქტურების ყოფილმა კადრის მოსამსახურეებმა, ძალოვანი უწყებების წარმომადგენლებმა",** — აღნიშნულია პუბლიკაციაში.

რაც შეეხება ძალოვანი უწყებების „ემიგრანტებს":

სტატიაში ნათქვამია, რომ უკრაინაში იმყოფება საქართველოს შს სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსანი **ირაკლი ქურასბედიანი,** რომელიც სადამსჯელო ბატალიონის „დონბასის" ინსტრუქტორად მუშაობს. იქვეა საქართველოს ეროვნული გვარდიის ექს-პოლკოვნიკი **დავით მარტიაშვილი,** ყოფილი პოლიციელი **სერგო ზუმბულიძე** („დობერმანი"), **დავით გოგოხია, მამუკა მამულაშვილი** და ყოფილი „მხედრიონელი" **დოდო გუგეშაშვილი.**

ქართული ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენელების კვალდაკვალ უკრაინაში ჩავიდნენ აგრეთვე მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერი აქტივისტებიც, მაგალითად, **გელა ვასაძე,** რომელიც ორგანიზაცია „თავისუფალ ზონას" ხელმძღვანელობს. უკრაინაში მიხეილ სააკაშვილმა „საქართველოს გათავისუფლების შტაბი" შექმნა, რომელშიც შევიდნენ ნაცმოძრაობის წევრები **გიორგი ვაშაძე, გიორგი ბარამიძე, დავით საყვარელიძე, გიგა ბოკერია და გიორგი თარგამაძე.** ეს პირები კიევში რეგულარულად უწევენ ინსტრუქტაჟს საქართველოს ძალოვანი უწყებებიდან გათავისუფლებულ პირებს და „ზონდერჯგუფების" წევრებს.

უკრაინაში დაიდეს ბინა აგრეთვე ექსპერტებმა და მრჩევლებმა **კახა ბენდუქიძემ** (მიხეილ სააკაშვილის ეკონომიკური პოლიტიკის იდეოლოგმა), უკვე ზემოთ ხსენებულმა **გიორგი ვაშაძემ,** რომელიც კიევის ხელისუფლებას „იუსტიციის სახლების" იდეას სთავაზობს. ამავე პროექტითაა დაკავებული ყოფილი სასამართლო აღმასრულებელი **ჯაბა ებანოიძე** და აჭარის ავტონომიის ყოფილი ხელმძღვანელი **ლევან ვარშალომიძე.** მათგან ზოგიერთი სახელმწიფო სამსახურშიც შევიდა (მაგალითად, ვარშალომიძე ლვოვის ოლქის გუბერნატორის მრჩეველი გახდა).

რასაკვირველია, საქართველოდან ემიგრირებულებიდან ყველა ვერ მოეწყობოდა სახელმწიფო სამსახურში, ამიტომ ბევრმა მასმედიას მიაშურა. ასე, მაგალითად, ჟურნალისტი **ოლეგ პანფილოვი** (რომელიც ადრე ილიას უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა), რადიო „თავისუფლების" უკრაინული სამსახურის ყირიმის სექციაში მუშაობს და უკრაინის ამბებს ანტირუსული ფონით აშუქებს, ყირიმის მოვლენებზე კი საერთოდ არაფერს ამბობს. ჟურნალისტობას იწყებს აგრეთვე ეკონომიკის ექს-მინისტრი **ვერა ქობალია,** რომელიც სტატიების გამოქვეყნებას შეუდგა.

სტატიის დასარულს დასკვნებია გაკეთებული:

**„პოსტრევოლუციური უკრაინა" სხვადასხვა პოლიტიკური იდეების სარეალიზაციო მოედანი გახდა. აშკარაა, რომ ქართველი ნაციონალებისათვის უკრაინის არასტაბილურობა კარგი ნიადაგია, რათა მან რევანში განახორციელონ სამშობლოში დამარცხების გამო და უკრაინაში იგივე სოციალური ექსპერიმენტი გაიმეორონ, რომელიც ქართულმა საზოგადოებამ უარყო. გარდა ამისა, ისინი აშკარად იმედოვნებენ, რომ უკრაინას თავიანთი გეოპოლიტიკური ანგარიშსწორებისათვის გამოიყენებენ. ამაში ირეკლება საქართველოს ანტირუსული პარტიების იდეოლოგიური კლიშე, რომელიც გამოიხატება ტერიტორიების დაკარგვის ბრალდებაში და საერთოდ, რუსეთის ჩარევაში საქართველოს საქმეებში. აშკარაა ისიც, რომ უკრაინის ახალი ხელისუფლებას ანტირუსული პოზიცია უკავია და შესაბამისად, იგი ქართველებს რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ დესტრუქციულ საქმიანობაში იყენებს.**

**რასაკვირველია, „ქართული ლობის" ამბიციები შეიძლება არ დაემთხვეს უკრაინის მოსახლეობის დიდი ნაწილის ობიექტურ ინტერესებს, მაგრამ ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური არასტაბილურობა ძალიან კარგი ფონია იმისათვის, რომ უკრაინულ საზოგადოებას თავს მოახვიოს უცხო ინტერესები და პოლიტიკური მოდელები",** — ნათქვამია პუბლიკაციაში.

**ჯი-ეიჩ-ენი**

კიბერპოლიცია

# სოციალური ქსელით მიყენებული სიტყვიერი შეურაცხყოფა დასჯადი ხდება

**საქართველოში** კიბერპოლიცია იქმნება. **იურისტთა ჯგუფი მუშაობს კანონპროექტზე, რომელიც უახლოეს დღეებში პარლამენტში შევა. ჯერჯერობით უცნობია, რომელი ქვეყნის მოდელზე გაკეთდება არჩევანი. კანონპროექტის ერთ-ერთი ავტორი იურისტი ირმა ჭკადუა for.ge-სთან საუბრისას განმარტავს, რომ სპეციალური ჯგუფი სწავლობს ყველა ქვეყნის მოდელს.**

სავარაუდოდ, იურისტთა ჯგუფი არჩევანს ამერიკულ მოდელზე გააკეთებს, სადაც კიბერპოლიციას თეთრ სახლზე უფრო მეტი ბიუჯეტი აქვს. აღსანიშნავია, რომ აშშ-ის კიბერპოლიცია ძალიან ეფექტური სამსახურია, რომელშიც ასევე გაერთიანებულია დაზვერვის სამსახური, ანუ ელექტრონული დაზვერვა.

**„10 დღეში ეს კანონპროექტი მზად იქნება. პარლამენტის წევრების გარკვეული ნაწილი მზად არის, მხარი დაუჭირონ კანონპროექტს, იმ შემთხვევაში, თუ კანონპროექტი კანონის სახეს მიიღებს, ეს იქნება წინგადადგმული ნაბიჯი",** — აცხადებს ირმა ჭკადუა.

რაც შეეხება დანაშაულს და მისი კვალიფიკაციას, იურისტი განმარტავს, რომ ეს იქნება ადმინისტრაციული დანაშაუალი, მაგრამ პარალელურ რეჟიმში გამოიწვევს ცვლილებების შეტანას სისხლის სამართლის კოდექსში. ამბობენ, რომ პოლიტიკოსმა უნდა აიტანოს ლანძღვა-გინება, მაგრამ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში მინისტრს და პარლამენტის წევრებს ასე ამორალურად არსად არ ლანძღავენ და თავს არ ესხმიან, როგორც ეს საქართველოში ხდება.




**შეუძლიათ, ყველაზე ღირსეულ ადამიანს ღირსება შეულახონ და ამისთვის არავინ არ ისჯება. 4 მილიონამდე ადამიანი ცხოვრობს საქართველოში, დაახლოებით 3 მილიონამდე მოქალაქე სოციალური ქსელის აქტიური მომხმარებელია, ეს ნიშნავს, რომ ერთ ადამიანს აქვს 4-5 ავატარი, რომლებიც ამ კიბერთავდასხმებს აწყობენ. ეს რაღაცით უნდა მოწესრიგდეს",** — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას ირმა ჭკადუა.

აღსანიშნავია, რომ 2013 წლის მაისში საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა კიბერუსაფრთხოების სტრატეგიას 2013-2015 წლებისათვის, რომელიც კიბერუსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელ მთავარ დოკუმენტს წარამოადგენს. სტრატეგიას აქვს სამოქმედო გეგმა, სადაც დეტალურად არის გაწერილი დაგეგმილი ღონისძიებები.

**სოციალური ქსელით მიყენებული შეურაცხყოფა, ფაქტობრივად უტოლდება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას. ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში ცოტა უფრო შორს უნდა წავიდეთ, ვიდრე ეს არის ცილისწამება. რთულია ყველა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, მით უმეტეს, თუ კი, ვირტუალური ხასიათი ეძლევა ამ დანაშაულს. ეს არის მხოლოდ სიტყვიერი შეურაცხყოფა და ამისთვის სამოქალაქო წესით ვიდავოთ, თუ სისხლის სამართლებლივი სანქციები იქნას დაწესებული, აი ეს არის სადავო",** — განმარტავს for.ge-სთან საუბრისას ადვოკატი გელა ნიკოლეიშვილი.

**ნანა სანიკიძე**

კაკალ გულში

## წრიცილოვანი თეზისები

**● გუშინ „კურიერში" არც ბოკერიასთვის მოშიკრავს თვალი, არც გოკასთვის და არც ნადირაშვილისთვის. წყალი ჩამოუვიდათ, ებოლა შეეყარათ, თუ ვინმემ მიაკაზანტიპა?**

**● კაცო, სპორტის სამინისტროს ალმა ხნულს, ფეხბურთის ფედერაცია დაღმა ფარცხავს და ამიტომაც უწინდელი გათხუნული დარჩა ფეხბურთი?..**

**„ძმამ ძმას სახრე გარდუჭირა, მტერთ კობალი თავში დასცხეს, ორნივ ერთად შეხრინკულნი დასცეს ქვეყნად, დაანარცხეს!"**

**მალადეც თქვენ ბიჭებო, ბიჭებო, ბიჭებო, — გამარჯვება, ბიჭებოოო!**

**● ივანიშვილს უთქვამს, ფეხბურთის მსოფლიო ნაკრებში გამოძახებული კალაძის ნაცვლად ღარიბაშვილი უნდა წავიდესო.**

**● ჩემმა მეხუთეკლასელმა ძმისშვილმა სკოლაში დაიწყო მუსიკის შესწავლა და პირველი კომპოზიტორი, რომელიც სახელმძღვანელოში შეხვდა, არის ედუარდ გრიგი! კი მაგრამ, თქვე დალოცვილებო (განათლების სამინისტრო დავლოცე!), მოცარტი, ბეთჰოვენი, ბახი, შოპენი არ გაგიგიათ, გრიგით და ბორის შხიანით რომ არ დააწყებინოთ ბავშვებს მუსიკის შესწავლა?**

**● მე, როგორც საზოგადოების ნაწილი, ქართველი, პატრიოტი და ამ ქვეყნის მოქალაქე, იმის გამო, რომ ქვეყანაში არ იგრძნობა წინსვლა, ისევ უსამართლობაა გამეფებული, ისევ სიღატაკის ზღვარზე ვართ მოსახლეობის 70%, ისევ ნაციონალები აკონტროლებენ სასამართლოს, შსს-ს, პროკურატურას, ქართული ოცნების ჯარისკაცები და მომხრეები ყველა იგნორირებულია და ამ ყველაფერთან გამკლავება არ ძალუძს დღევანდელ უუნარო პარლამენტს და პრეზიდენტი დაკავებულია მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლით, ვითხოვ ვადამდელ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებს, ვითხოვ განეიტრალდეს და პოლიტიკიდან სამუდამოდ ამოიძირკვოს რევანშისტული ნაციონალური მოძრაობა!!! ამ განცხადების გამო მე მრიცხავენ პარტია „ქართული ოცნებიდან". ბევრი საღად მოაზროვნე ადამიანი არის ფეისბუკში და გთხოვთ მითხრათ — ვცდები?**

**● პოლიტიკოსების მესმის: იძულებულები არიან, რომ შეუძვრნენ. აი მე, რატომ უნდა მევასებოდნენ ამერიკელები, ვინმემ იქნება ამიხსნათ!**

**● შეცვლა: გიგაური-ლომჯარიას შემადგენლობაში, კახა კოჟორიძის ნაცვლად ითამაშებს ლაშა ტუღუში.**

**ამოკრიბა**
**გია გაბრიჭიძე**

ალიანჩალიანი

## C ჰეპატიტის მკურნალობის კურსი კიდევ 25-მა პატიმარმა დაასრულა

**პროგრამაში ჩართულ 25 პაციენტს ექიმებმა უკვე გადასცეს ლაბორატორიული ტესტების პასუხები, რომლითაც დგინდება, რომ C ჰეპატიტის ვირუსისგან ისინი სრულად განიკურნენ.**

**წინასწარი მონაცემებით, ამ მომენტისთვის ანალოგიური შედეგები აქვს კიდევ 148 პაციენტს, რომლებიც მკურნალობას ოფიციალურად დაასრულებენ უახლოეს მომავალში. ამ მომენტისთვის განკურნების მაჩვენებელი 95%-ია.**

**ჰეპატიტის პროგრამა, მთავრობის გადაწყვეტილებითა და პრემიერ-მინისტრის მხარდაჭერით, სასჯელაღსრულების სისტემაში 2013 წლიდან ხორციელდება და ინფექციის პრევენციას, დიაგნოსტიკასა და მკურნალობას ისახავს მიზნად. პროგრამა ყველა დაწესებულებაში ხელმისაწვდომია და მის ფარგლებში გამოკვლევები უკვე 7000-მდე პატიმარს ჩაუტარდა. სასჯელაღსრულების სისტემაში C ჰეპატიტის პროგრამის დაწყების პარალელურად მკურნალობის ღირებულება 60%-ით გაიაფდა სამოქალაქო სექტორის პაციენტებისთვისაც, რომლებმაც ფასდაკლებით სარგებლობისთვის ჯანდაცვის სამინისტროს უნდა მიმართონ.**

**ინტერპრესი**

# პრეზიდენტისა და მისი სასახლის ირგვლივ კინკლაობა გრძელდება

**ორ კვირაზე მეტია, მიმდინარეობდა საჯარო კინკლაობა, ლამის ხელჩართულ ჩხუბში გადასული, გაეროში წასვლა-არწასვლასთან დაკავშირებით. ერთ მხარეს პრეზიდენტი და მისი აპარატი იყო, მეორეს — დანარჩენი „ოცნება“.**

საქმეს, არც „ოცნების“ ხელისუფლებაში გამყვანის ივანიშვილის ჩარევამ უშველა, პირიქით, მისი საგაზეთო ინტერვიუს შემდეგ, გაათკეცდა ჩხუბი და ისეთი ფორმები შეიძინა, ძველი თბილისის ეზოებისთვის რომ იყო დამახასიათებელი. ასაკოვან ადამიანებს კარგად ახსოვთ, საერთო ეზოს აივნებზე გადმომდგარი დედაკაცების ლანძღვა-გინება, მაგალითად ისეთ „სერიოზულ“ თემაზე, სარეცხის გაფენას რომ ეხებოდა.

ჰოდა, იმ წარსულის მსგავსად, აივანზე გადმომდგარი საგარეო საქმეთა მინისტრი და მისი მოადგილეები ისეთი დაჟინებით ისროდნენ პრეზიდენტის მისამართით პირზე მომდგარ სიტყვებს, ძველი თბილისის ეზოების ბინადართაც რომ შეშურდებოდათ.

ქვეყნის პრეზიდენტი, მარგველაშვილი რომ რიგითი მოქალაქე იყოს, კიდევ არა უშავს გინებას, თუმცა მაშინაც ზომიერება იქნებოდა საჭირო. მაგრამ მარგველაშვილი პრეზიდენტია — თუნდაც უფუნქციო და დაკოდილი (არა პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ საქმიდან გამომდინარე) და როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ განმარტა (ისიც მაგარია), მთავრობის დაუკითხავად მხოლოდ საერთაშორისო დონის პანაშვიდ-დასაფლავებაზე მოსიარულე.

და რახან მარგველაშვილი პრეზიდენტია, მით უმეტეს ხალხის მიერ არჩეული, დანიშნულმა მთავრობის წევრებმა პატივი უნდა სცენ მას, არა როგორც მარგველაშვილს, არამედ როგორც ქვეყნის პრეზიდენტს. მაგრამ რა გაეწყობა, გამოთქმისა არ იყოს — „რაც ბერიო, ის ერიო“.

23 „დამოუკიდებელი“ წლის განმავლობაში ვერც ქვეყანა ჩამოვაყალიბეთ და ვერც ქვეყნის პოლიტიკური სტრუქტურა. ვერც სახელმწიფო მოხელეთა რანგირება შევქმენით და რაც მთავარია, ვერც სუბორდინაცია. ქვეყანაში, სადაც რიგითი მინისტრი (თუნდაც არარიგითი), თავს უფლებას მისცემს პრეზიდენტს საჯაროდ, ტელევიზიით „გადაუაროს“, ხოლო მინისტრის მოადგილე ზალკალიანმა, ხელების ქნევით ისე გალანძღოს, როგორც დედამ მცირეწლოვანი შვილი. ქვეყანა არ არის.

მინისტრისა და მოადგილის „გაგულავებას“ უდავოდ შეუწყო ხელი ბატონ ბიძინა ივანიშვილის კრიტიკულმა დამოკიდებულებამ მარგველაშვილისადმი, ანუ პიროვნებისადმი. მაგრამ მარგველაშვილი რომ ქვეყნის პრეზიდენტია? და რახან ის პრეზიდენტია, არავის აქვს უფლება, ლანძღოს ის. და არა მარტო თვითონ ლანძღოს, არამედ სხვასაც მოუწოდოს ამისკენ. როდესაც დაბალი შეგნების, მით უმეტეს დაბალი პოლიტიკური ცოდნის მქონე ჟურნალისტი შეკითხვით მიმართავს საქართველოში აშშ-ის ელჩს — თქვენ რას იტყვით გაეროში პრეზიდენტი უნდა წავიდეს თუ პრემიერიო , ყველაფერი ნათელია.

ერთი ამბავი გამახსენდა და ბატონ ბ. ივანიშვილის გასაგონად მინდა, ვთქვა: რუსეთის პრეზიდენტ პუტინს, ის-ის იყო პრეზიდენტობა მედვედევისთვის ჰქონდა გადაბარებული, რომ წითელ მოედანზე გამართული სამხედრო პარადის დროს ორივენი (ახალი პრეზიდენტი და პრეზიდენტ-ყოფილი) მეუღლეებით, ერთად გამოჩნდნენ. მაგრამ, როდესაც მთავარ ტრიბუნას მიუახლოვდნენ, პუტინი შედგა და გზა აღარ გააგრძელა. მეუღლემ ავტომატურად მოუწოდა — წავიდეთო, მაგრამ პუტინმა ანიშნა, ჩვენი ადგილი აქ არის და არა პრეზიდენტის ტრიბუნაზეო.

ეს, თითქოს უმნიშვნელო მომენტი, რომელიც ტელეკამერამ დააფიქსირა, დღემდე შემორჩა ჩემს მეხსიერებას. პუტინმა „შობა“ მედვედევი, პრეზიდენტი. მან გაიყვანა ის ორბიტაზე და როგორც თანამგზავრის მატარებელმა რაკეტამ, ამ შემთხვევაში „მშობელმა,“ არსებობა შეწყვიტა.

ქვეყანას უდავოდ წაადგება, თუ ივანიშვილი შეწყვეტს მის მიერ შექმნილ ხელისუფლების მართვას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ხელისუფლებას ძალიან გაუჭირდება დამოუკიდებლად მართვა. მას მუდამ ყელი ექნება მოღერებული „კომკავშირის ხეივნისკენ“.

ივანიშვილის ფაქტორი — ერთობ სასურველი და მისასალმებელი ამაზრზენი სააკაშვილის „მეფობის“ დროს, დღეს ისეთი სიკაშკაშით აღარ მოქმედებს. ივანიშვილის გმირობით მოვიშორეთ სააკაშვილი. თვით ივანიშვილმა ჩათვალა, რომ ქვეყანა ფონს გაიყვანა და გადადგა — კეთილი და პატიოსანი. მაგრამ კულისებიდან მართვა, არ წაადგება ქვეყანას, ეს უნდა გაითვალისწინოს, როგორც ბატონმა ბ. ივანიშვილმა, ისე ყველამ, ვინც მას უქებს ასეთ ქმედებას და იმანაც, ვინც ივანიშვილის დაბრუნებას ითხოვს.

შეძლებს ეს ხელისუფლება უივანიშვილოდ მუშაობას? ამიტომაცაა ლაპარაკი ვადამდელი არჩევნების დანიშვნაზე, რომლის მიზანი მარტივია — „მოქალაქის“ გავლენის გარეშე მართვა.

დავუბრუნდეთ მარგველაშვილს. სწორედ ივანიშვილის ინტერვიუმ ააგორა პრეზიდენტის წინააღმდეგ ტალღა. სამწუხაროდ, ამ ტალღამ არა მარტო მარგველაშვილი ჩაძირა, არამედ ქვეყანაც. ამ ტალღამ წააქეზა საგარეო უწყების ხელმძღვანელები, ისე შებმოდნენ პრეზიდენტს, როგორც თანასწორს.

არადა, პრეზიდენტი, პრეზიდენტია. მას შეუძლია უცხო დელეგაციასთან შეხვედრის დროს ან მიიწვიოს საგარეო საქმეთა მინისტრი, ან არა. მას შეუძლია თავისი მიდგომა ჰქონდეს ამ უწყებასთან და მის ხელმძღვანელობასთან. ჩემს თვალწინ ხდებოდა პრეზიდენტ შევარდნაძისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ჩიკვაიძის ერთობ დაძაბული ურთიერთობები.

ჩიკვაიძის საგარეო საქმეთა სამინისტროსგან დისტანცირების თვალსაზრისით, შევარდნაძემ, თავის აპარატში საგარეო სამსახურიც შექმნა. პრეზიდენტი სააკაშვილი ათვალწუნებით უყურებდა საგარეო საქმეთა მინისტრ ჯაფარიძეს და ხანმოკლე მუშაობის შემდეგ გაათავისუფლა კიდევაც თანამდებობიდან. მანამდე კი თავს არიდებდა მინისტრთან ერთად უცხოელ სტუმართან შეხვედრას. ასე, რომ ფანჯიკიძის სატელევიზიო დაჩივლება — „ისე შეხვდა მარგველაშვილი ვიღაცას უელსში, არ დამიძახაო“, - გასაკვირი არ უნდა იყოს. გასაკვირი ის არის, რომ მინისტრი და მისი მოადგილე ტელევიზიით უტატანებენ პრეზიდენტს.



პრეზიდენტ მარგველაშვილის პიროვნება რომ ნაკლებად ხიბლავს საზოგადოებას, ნათელია. ისიც ნათელია, რომ საზოგადოება ივანიშვილს ეტრფის და, პრეზიდენტთან დაპირისპირებაში, ივანიშვილის მხარეზეა. და არის ერთი ვაიუშველებელი ატეხილი მარგველაშვილის გასალანძღად.

მთავარი ბრალი მარგველაშვილისა ის არის, რომ პრეზიდენტის სასახლეში შევიდა. როგორც ივანიშვილი, ისე „ოცნების“ წევრები ამბობენ, რომ პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, მარგველაშვილმა ფიცი დადო, რომ სააკაშვილის ნასახლარში, ანუ სასახლეში არ შევიდოდა.

კეთილი, მაგრამ თუ მარგველაშვილმა მართლაც განაცხადა, რომ არ შევიდოდა მისი წინამორბედის სასახლეში, ივანიშვილიდან დაწყებული, ნებისმიერი „ოცნებელით“ დამთავრებული, ყალყზე უნდა შემდგარიყო და დაეძალებინა მარგველაშვილისთვის სასახლეში შესვლა, ვინაიდან არშესვლა ნიშნავდა პროვინციალიზმს, სახელმწიფო სიმბოლოსთვის ზურგის შექცევას, სახელმწიფოს შეურაცხყოფას.

პრეზიდენტის სასახლე, პარლამენტის შენობა, მთავრობის სახლი, ისეთივე სიმბოლოებია, როგორც ქვეყნის დროშა, გერბი, ჰიმნი. არ მოგვწონს (და რა მოსაწონი იყო) სააკაშვილი და ზურგი უნდა ვაქციოთ მის დროს შექმნილ დროშას, გერბს, ჰიმნს, სასახლეს?

სერიოზული დაავადება გვჭირს, რაც წინამორბედის განქიქებასა და მის დროს შექმნილის უარყოფაში გამოიხატება. შევარდნაძეს არ მოეწონა გამსახურდიას დროს გადაკეთებული საბჭოთა საქართველოს კონსტიტუცია და პარლამენტის არჩევისთანავე ახალი მთავარი კანონი შეგვაქმნევინა. ერთშიც და მეორეშიც აქტიური მუშაობა მომიხდა. შევარდნაძეს ახალი დროშის და გერბის შემოღებაც სურდა, მაგრამ არ დასცალდა.

მოვიდა სააკაშვილი და სწრაფად, ვოლუნტარისტულად შეცვალა სიმბოლიკა. სასახლეც ააშენა. ძვირი დაუჯდა სასახლე, მაგრამ მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდა ქვეყნისთვის.

„ღარიბ ქვეყანას არ უნდა ჰქონდეს მდიდრული სასახლე“, — აცხადებენ „ნაროდნიკები“.

სასახლე ერთჯერადი გამოყენების სათავსი არ არის. ის არაერთ პრეზიდენტს მოილევს და იქნებ მდიდარი ქვეყნის არსებობასაც მოესწროს? ყოფილ საბჭოთა სივრცეში თუ რამით გამოირჩევა ტაჯიკეთი — სიღარიბეა, მაგრამ პრეზიდენტს სასახლე ისეთი აქვს, სიტყვა „სახელმწიფოს“ რომ შეეფერება.

სააკაშვილის აშენებულ სასახლეში არ უნდა შესულიყოო ახალი პრეზიდენტი. ის ათონელის 25-ში, სააკაშვილის განკარგულებით მშენებარე შენობაში, სააკაშვილის, როგორც სავარაუდო პრემიერ-მინისტრის სასახლეში უნდა შესულიყოო. რა განსხვავებაა, ისიც სააკაშვილის ფანტაზიის ნაყოფი არ არის? იმ განსხვავებით, რომ ათონელის შენობაში შესვლა ვერ მოასწრო.

ათონელის ქუჩაზე მდებარე ისტორიული შენობა შეუფერებელია პრეზიდენტის საქმიანობისთვის, უპირველესად იმიტომ, რომ ცუდი მდებარეობა აქვს. სტუმრიანობის დროს პოლიცია იძულებული იქნება, გადაკეტოს ვიწრო ათონელის ქუჩა, რითაც სერიოზული პრობლემები შეექმნება საქალაქო ტრანსპორტს, თბილისის მოსახლეობას. პრეზიდენტის სასახლე ამ პრობლემისგან თავისუფალია.

ივანიშვილმა ბრძანა: „პრეზიდენტის სასახლის შენახვა ძვირი ჯდებაო“. ჯერ ერთი, თუ საქართველო სახელმწიფოა, პრეზიდენტის სასახლის შენახვის ხარჯებზე არ უნდა ვლაპარაკობდეთ.

შეიკვეცოს ერთობ გაზრდილი სახელმწიფო მოხელეთა რაოდენობა, მათი უზომო ხელფასები, ხელფასზე დანამატები და პრემიები; ძვირადღირებული სახელმწიფო მანქანების, ასევე ძვირადღირებული კომპიუტერებისა და მობილური ტელეფონების შესყიდვა, სატელეფონო ხარჯები; საზღვარგარეთ სისტემატური მივლინებები და იქ ძვირადღირებულ სასტუმროებში ცხოვრება, ლიმუზინებით „კატაობა“, თვითმფრინავის ბიზნეს და პირველი კლასის სალონებით მოგზაურობა და დაიზოგება საბიუჯეტო ხარჯები.

ჩვენდა სამწუხაროდ, სამთავრობო შენობებთან ომი საქართველოში რახანია მიმდინარეობს. პარლამენტის შენობის ფასადური ნაწილის (ის, რაც რუსთაველის პროსპექტზე გამოდის) გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში აშენდა და იქიდან დაწყებული იყო და არის ლაპარაკი - ცოდვილი ადგილიაო, ვინაიდან აქ ეკლესია იდგაო.

თბილისის ომის შემდეგ, ხელისუფლებაში მოსულმა ოპოზიციამ, კატეგორიულად დასვა საკითხი პარლამენტის შენობის დანგრევის თაობაზე — „სატანის საბრძანებელი იყოო“ („სატანა“ — ვითომ გამსახურდიაო). ეს ლაპარაკი მოგვიანებით უფრო „ლმობიერ“ ჭრილში გადაიზარდა, ანუ ქალაქის მაშინდელმა მერმა ოთარ ლითანიშვილმა ბრძანა - შენობას არ დავანგრევთ, მაგრამ პროფილს შევუცვლით და ბიზნეს-ცენტრად გადავაკეთებთო. პარლამენტის შენობას კი თბილისის ზღვაზე ავაშენებთო.

მიზანი ესოდენ ქარაფშუტული, ნაჩქარევი, აუწონ-დაუწონავი განცხადებისა ის იყო, რომ ქალაქის ცენტრი მომავალში გადაერჩინათ თბილისის ომის მსგავსისგან. დიდი ბრძოლა დაგვჭირდა გოგი ანდრონიკაშვილს, ვახტანგ ცუხიშვილს და თქვენს მონა-მორჩილს, რათა მთავრობის სხდომა დაგვერწმუნებინა ამ „გენიალური“ გეგმის განხორციელების გადავადებაში.

1992 წლის შემოდგომაზე არჩეულმა პარლამენტმა, ჩემი, როგორც აპარატის უფროსის ძალისხმევით, მიიღო გადაწყვეტილება ძველი შენობის პარლამენტის შენობად დასატოვებლად. თუმცა, მრავალი წლის შემდეგ, სააკაშვილის მეცადინეობით, პარლამენტი ქუთაისში გადაიტანეს. ძველი შენობა, შიგნით დანგრეული, გასასხვისებლად გამზადდა.

თბილისელები ამ გადაწყვეტილებას გულგრილად შეხვდნენ. არც ერთ პარტიას ან არასამთავრობო ორგანიზაციას ხმა არ ამოუღია სააკაშვილის მავნე გეგმის შესაცვლელად. საყოველთაო გულგრილობამ მილიონები შთანთქა. ქუთაისში გადასული პარლამენტი დღესაც ძვირი უჯდება ქვეყნის ბიუჯეტს. ვერადავერ გადაწყდა მისი თბილისში გადმოტანის საკითხი.

ახლა მივადექით უკვე აშენებული პრეზიდენტის სასახლეს და დაუფიქრებლად, ზერელედ ვაცხადებთ — ავხორცი სააკაშვილის სასახლეში პრეზიდენტი მარგველაშვილი არ უნდა შესულიყოო.

პრეზიდენტის სახელს უკავშირდება უამრავი აუცილებელი პროტოკოლური ღონისძიება, რომელსაც სასახლე ესაჭიროება და არა სარდაფი ან თუნდაც თავის დროზე პარტიული აპარატის სამუშაოდ აშენებული ცკ-ს შენობა.

საქართველოში პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღების შემდეგ, სერიოზულად დაისვა მისთვის საჭირო წარმომადგენლობითი იმიჯის შექმნის საკითხი. ვითარებიდან დროებით გამოსვლის მიზნით, პარლამენტის შენობის იმ ნაწილში, სადაც კომუნისტების დროს მინისტრთა საბჭო იყო განთავსებული, პრეზიდენტის (გამსახურდიას) წარმომადგენლობითი სათავსოები შევქმენით.

ამ სათავსოებით სარგებლობდნენ პრეზიდენტები შევარდნაძე და სააკაშვილი, მაგრამ ის არ იყო სრულ შესაბამისობაში პრეზიდენტის პროტოკოლურ ფუნქციებთან — მაღალი დელეგაციების მიღება, მათთვის სახელმწიფო წვეულების გამართვა, საზეიმო ცერემონიალების ჩატარება და ა.შ.

წლების განმავლობაში ვხელმძღვანელობდი საქართველოს სახელმწიფო პროტოკოლის სამსახურს და ამ ხნის მანძილზე არაერთხელ მომიწმენდია შუბლიდან სიმწრის ოფლი, როდესაც ქვეყნის პრეზიდენტი, პრეზიდენტისთვის შეუფერებელ შენობაში აწყობდა მაღალი რანგის დელეგაციების მიღებას. ვერავითარ პროტოკოლს ვერ უძლებს თუნდაც ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს რესტორანში, პრეზიდენტის სახელით გამართული წვეულება.

ეს პრობლემა გადაწყდა სააკაშვილის დროს. და რახან ასეა, იქ მარგველაშვილი არ უნდა შესულიყო? რა შუაშია შენობა?

ამ მოსაზრებით გერმანიას ომის დამთავრების შემდეგ მიწასთან უნდა გაესწორებინა ბუნდესტაგის შენობა.

შენობაში სხვა დაწესებულება უნდა განთავსდეს ან გაიყიდოსო, — აცხადებენ მავანნი, რაც თავისთავად ნიშნავს შენობის თანდათანობით ნგრევას, გადაკეთებას, რითაც დიდი ზარალი მიადგება სახელმწიფო ბიუჯეტს. სასახლის გასხვისებით ქვეყანა დაისჯება და არა მარგველაშვილი. დავუშვათ, ხვალ ან ზეგ საქართველოს უფრო გონიერი პოლიტიკოსები გამოუჩნდნენ, გამორიცხული ხომ არ იქნება, პრეზიდენტის სასახლის აშენება?

რა გამოდის, ყოველმა ახალმა ხელისუფლებამ ახალი სასახლე უნდა აშენოს?!



პრეზიდენტთან, მით უმეტეს პრეზიდენტობის ინსტიტუტთან კინკლაობას წერტილი უნდა დაესვას და რახან ამ წერტილის დასმას საშველი არ დაადგა, ხალხმა უნდა ამოიღოს ხმა.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

# ჟიული შარტავა – ალმასვლა გოლგოთაზე



## ახალი დანიშვნა

**ამჟამად, როდესაც ვცდილობ, გავერკვე იმ მოტივებში, რომელმაც უბიძგა მაშინდელი დამოუკიდებელი საქართველოს ხელმძღვანელს ედუარდ შევარდნაძეს გაეგზავნა ჟიული 1993 წელს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ აფხაზეთის ომის შუა ქარცეცხლში, თითქოს ყველაფერი აშკარაა. იმ ლოგიკური მსვლელობისთვის თვალყურის გადევნება განსაკუთრებულ სირთულეს არ წარმოადგენს. მაშინდელი აფხაზების მთელი რიგი გავლენიანი ჩინები, რომლებიც განსაზღვრავდნენ მის პოლიტიკას, გაიზარდნენ შარტავას ფრთებქვეშ, ისინი მან გამოძერწა და უნდა ვივარაუდოთ, თავს ვალდებულად მიიჩნევდნენ მის წინაშე თავიანთი კარიერის გამო. მაშასადამე, თუ გავაგრძელებთ ამ ლოგიკურ მსჯელობას, შარტავას ჰქონდა შანსი, პირადი კავშირების გამოყენებით, როგორმე გავლენა მოეხდინა სიტუაციაზე აფხაზეთში, შეემსუბუქებინა იგი, და, თუ საშუალება გაჩნდებოდა, შეცდილიყო, დაეძლიათ სიტუაცია, ასე უუნაროდ რომ შექმნეს შინნაზარდმა პოლიტიკურმა „ვირტუოზებმა“.**

ვფიქრობ, რომ ეს იმედები ქვიშაზე იყო ნაგები. პირად ურთიერთობებს, რასაკვირველია, აქვს დიდი მნიშვნელობა, მაგრამ ისინი უკვე აღარ ასრულებენ თავინთ როლს, თუ სასწორზე შეგდებულია უფრო მნიშვნელოვანი ღირებულებანი, ვიდრე ეს ურთიერთობანია. და ჩემი საყვედურიც შარტავას მიერ დაწინაურებული აფხაზების მისამართით სულაც არაა ის, რომ მათ არაფერი იღონეს თავიანთი მხრიდან შევარდნაძისეული ჩანაფიქრის რეალიზაციისთვის, არამედ ის, რომ გულგრილად გასწირეს ჟიული შარტავა მოსაკლავად...

ვიცი, რომ ჟიული მიდიოდა აფხაზეთში იმის განზრახვით, რომ ხელი შეეწყო მშვიდობისთვის. რასაკვირველია, მისთვის განსაზღვრული უფლებემოსილებათა ფარგლებში, რომლებიც, როგორც გაირკვა, არასაკმარისი გამოდგა რთული აფხაზური კვანძის გახსნაში.

მე ვფიქრობ, ის აკეთებდა ყველაფერს, რომ მეორე მხარეს მოესმინა და გაეგო მისი სიტყვები და საქციელი. თავის საჯარო გამოსვლებში კონფლიქტის მხარეთა უბრალო ჩამონათვალშიც კი, ის ცდილობდა დაეცვა თანასწორუფლებიანობა, და თუ, ვთქვათ, ერთ შემთხვევაში იწყებდა ჩამოთვლას საქართველოდან, უმალვე იმეორებდა იმავე ფრაზას, ამჯერად პირველ ადგილზე აფხაზეთის დაყენებით. ზოგჯერ ეს, უბრალოდ, გულუბრყვილოდ გამოიყურებოდა.

– ჟიული შარტავას ჩასვლა ალყაშემორტყმულ სოხუმში, როგორც ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მეთაურისა, უმალვე აისახა ქალაქისა და ქალაქის მცხოვრებთა ცხოვრებაზე, – იხსენებს ძირძველი სოხუმელი, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მდივანი, ამჟამად კი კაზაკთა ატამანი ვასილ კადენეცი. – ამუშავდა ზოგიერთი დიდი საწარმო და დაწესებულება, განახლდა წყლის მიწოდება, ფუნქციონირება დაიწყო საზოგადოებრივმა ტრანსპორტმა, გრაფიკით დაიწყეს ელექტროენერგიის მიწოდება, პროდუქციის გამოშვება დაიწყო პურის ქარხანამ.

## სოჭის ხელშეკრულება

**სოჭში საქართველოსთვის საბედისწერო შეთანხმების ხელმოწერაზე, რომლის თანახმადაც საქართველო კისრულობდა ვალდებულებას, გამოეყვანა აფხაზეთიდან საბრძოლო ტექნიკა, ჟიულიმ უარი განაცხადა, თუმცა თვითმფრინავი დაჯდა სოხუმში სწორედ იმისთვის, რომ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე წაეყვანა.** მე ვნახე, როგორ ეხვეწებოდნენ მას წასულიყო სოჭში პარლამენტის მაშინდელი სპიკერი ვახტანგ გოგუაძე, საქართველოს მაშინდელი საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები. მაგრამ ჟიული შეუვალი იყო. ეტყობა, ის ხვდებოდა ან წინასწარ ხედავდა, თუ რა დრამატულ შედეგებთან შეიძლება მიგვიყვანოს ამ შეთანხმებამ და არ სურდა, ეკისრა პასუხისმგებლობა მის ხელმოწერაზე. ასეც გამოვიდა. სულ რაღაც ერთი თვის შემდეგ, როდესაც ისარგებლა იმით, რომ ქართველების მთელი საბრძოლო ტექნიკა გამოტანილია აფხაზეთიდან, რაც გათვალისწინებული იყო შეთანხმებითაც, მტერი შეტევაზე გადმოვიდა.



სხვათა შორის, არც ის, არ შეიძლებოდა რომ არ წასულიყო სოჭში და უარი ეთქვა შეთანხმებაზე ხელმოწერისთვის.

ივლისი იყო. უბერავდა მშრალი ცხელი ქარი. ჟიულის შტაბი კოპიტნარის აეროპორტში იყო განლაგებული. იმ ერთი საათის განმავლობაში, რომელიც სოხუმში გავატარე, ჩემმა მეგობარმა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტიდან ლონდერ ცაავამ, რომელიც შარტავას მოადგილედ მუშაობდა, მიამბო, რომ იმ ღამით ქალაქი ლამის არ დაეცაო. მოლაშქრეებმა თბილისიდან, რომლებიც სოხუმის მისადგომებს იცავდნენ, მოულოდნელად მიატოვეს ფრონტის თავიანთი მონაკვეთი და... გაეშურნენ აეროპორტში – სახლში წასასვლელად. ამგვარი გამოხდომები, ვაი რომ, იშვიათობას არ წარმოადგენდა. საბედნიეროდ, ყოველივე ამის შესახებ მტერმა არ იცოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სოხუმი შეიძლებოდა აეღოთ ჯერ კიდევ იმ ღამით. ამრიგად, ქალაქი უკანასკნელი ძალებით იცავდა თავს, არჩევანი ქართულ მხარეს არ ჰქონია, ხელშეკრულებისთვის ხელი უნდა მოეწერა.

სოჭის აეროპორტში ქართულ დელეგაციას გააცნეს შეთანხმების პროექტი. ყველაფერი ხდებოდა სწრაფად, რაიმე კონფიდენციალობის გარეშე, ჟურნალისტების თანდასწრებით. ტექსტს კითხულობდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი. შემექმნა შთაბეჭდილება, რომ საქართველოს დელეგაციის წევრებს იმ წუთამდე სოჭში არც გაეგონათ და არც იცოდნენ ხელშეკრულების შინაარსი. მაგრამ არც ერთი საპირისპირო აზრი, არც ერთი შესწორება არ შეუტანიათ მასში.

აეროპორტიდან სასტუმრო „ჟემჩუჟინაში“ წავედით, სადაც დოკუმენტის ხელმოწერა მიმდინარეობდა. ამ ცერემონიის „თამადა“ იყო რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მაშინდელი შეფი ანდრეი კოზირევი, რომელმაც ვახტანგ გოგუაძესთან ერთად მოაწერა ხელი შეთანხმებას. ეს მათ გააკეთეს სამი მწვანე ფერის ბურთულიანი კალმით, სასტუმრო „ჟემჩუჟინას“ ლოგოტიპით. ერთ-ერთი მათგანი დღემდე ინახება ჩემ სეიფში რეპორტაჟთან ერთად, რომელიც ამ მოვლენაზე „ვეჩერნი ტბილისში“ გამოვაქვეყნე. ის წვრილმანები, რაზეც ახლა ვწერ იქ, რასაკვირველია, არ ყოფილა.

## დრამა მინისტრთა საბჭოს შენობასთან

**ჩემი თანაკურსელი და მეგობარი, გაზეთ „დემოკრატიჩესკაია აბხაზიას“ მთავარი რედაქტორი იური გავა 1993 წლის 27 სექტემბრის დილით მიდიოდა მთავრობის სახლისკენ სოხუმში და უკვე გრძნობდა, რომ ქალაქი განწირულია. ქართველი მოსახლეობა ტოვებდა თავის სახლებს. იური სამოქალაქო პირი იყო და მას, ალბათ, უნდა მიებაძა დანარჩენი სოხუმელებისთვის, მაგრამ საქმე ის გახლდათ, რომ გავას სიძე ვახტანგ ფარცვანია იყო დაცვაში და ნათესავი, რომ ასეთ ტრაგიკულ მომენტში, მიეტოვებინა იური გავა თავის თავს უფლებას არ აძლევდა. და ის მინისტრთა საბჭოს შენობამდე მივიდა.**

საქართველოში, ალბათ, არ არის ადამიანი, რომელსაც ერთხელ მაინც არ ენახოს ვიდეოკადრები, რომლებმაც აღბეჭდეს ჟიული შარტავას და სოხუმის მთავრობის სახლის სხვა დამცველების ცხოვრების უკანასკნელი წუთები 1993 წლსი 27 სექტემბერს. აი ეს, ცეცხლში გახვეული სოხუმი. აი, ჟიული შარტავა და სხვა ტყვეები, რომლებიც რკალში მოაქციეს გამარჯვებულებმა. იური გავა ამ ჯგუფში ნაპირშია. როგორც შემდგომ ის გაიხსენებს, სიძემ ვახტანგმა დაცვიდან რამდენჯერმე დაუქნია მას ხელი: მოდიო, ჩვენთან უფრო ახლოს. ვახტანგი ჟიულის გვერდით იდგა, და მას, ეტყობა, ეჩვენებოდა, რომ შეფის ახლოს ყოფნა უფრო საიმედო და უსაფრთხოა. როგორი ცდომილებაა! გავა რამდენიმე წუთი და ის ამაში პირადად დარწმუნდება, როდესაც გრძელი ავტომატური ცეცხლით გააცილებს ერთ შემოდგომის ფოთოლს. რამდენიმე თვის შემდეგ მისმა ცოლმა ნანამ შემთხვევით აღმოაჩინა ვახტანგის უსულო სხეული ფოტოზე, რომელიც საზღვარგარეთის რომელიღაც ილუსტრირებული ჟურნალის ყდაზე იყო დაბეჭდილი. მაშინ გაიგო მან ქმრის გარდაცვალების შესახებ.

## მეთაურის დაღუპვა

**...კვლავ და კვლავ ჩავქცერი ამ დრამატულ კადრებს და მინდა ამ საქმეში, შევაჩერო მოვლენები, დავწერო ამ ნაღვლიანი, ტკივილიანი ამბის სხვა სიუჟეტი.**

წარმოიდგინეთ: ომი თუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ძმათამკვლელი კონფლიქტი, ალყაშემორტყმული ქალაქი, დანგრეული სახლები, ცრემლები, სისხლი. ამ დროს მათ შორის, ვინც სათავეში უდგას დაპირისპირებულ მხარეებს, – ესენი არიან ადამიანები, რომლებიც ახლოს იცნობდნენ ერთმანეთს. ცხოვრებამ გათიშა ისინი ბარიკადების სხვადასხვა მხარეს, მაგრამ ჯერ კიდევ სიჭაბუკის დროს წარმოქმნილი მეგობრული გრძნობები კვლავ ცოცხლობს.

ქალაქი წუთი-წუთზე უნდა დაეცეს. მის დამცველად დარჩნენ ერთი მუჭა ადამიანები მეთაურის ხელმძღვანელობით. როდესაც ცხადი გახდა, რომ არც მეთაური, არც მასთან დაახლოებული ადამიანები არ აპირებენ დანებებას, მოპირდაპირე ბანაკის ადამიანებს გაუჩნდა უტიფარი გეგმა: გადაერჩინათ განწირულნი. ღალატი აქ არ ჩანდა, ყველაფერი იყო მარტივად და გასაგებად: გადამწყვეტი შტურმის დროს, როდესაც სისხლი თვალს გიხშობს და გულში აღარ დარჩა შეცოდებისა და თანაგრძნობის გრძნობა, უარესს ვეღარ გაექცეოდი...

დეტალებს აღარ აღვწერ. ვიტყვი მხოლოდ, რომ სწორედ შეტევის დროს მეთაური და მისი თანამებრძოლები გადაარჩინეს.

ლამაზად, განა ასე არაა?! არის, მაშასადამე, ჩვენს ცხოვრებაში უფრო მნიშვნელოვანი რამეებიც, ვიდრე სიამაყე, მტრობა და დავა...

ამ ისტორიაში, ძვირფასო მკითხველო, ყველაფერი სიმართლეა, ერთის გარდა: გარშემორტყმულთა დასახმარებლად არავინ მოსულა. და რეალურად მოზეიმე გამარჯვებულებს ალმოდებული ქალაქის ცენტრის გავლით თვალისგან მოშორებით – მიჰყავდათ ტყვეები ანგარიშსწორებისათვის. მისი დეტალები უცნობია: თბილისში სოხუმიდან ჩამოიტანეს ცხედარი მხოლოდ ერთი ადამიანისა – მეთაურისა, ჟიული შარტავასი. სხვები სად არიან?

დღემდე ამაოდ ცდილობს ჯუმბერ ბეთაშვილის ოჯახი გაიგოს რაიმე ქმრისა და მამის შესახებ. ცნობილია მხოლოდ, რომ როდესაც ჯუმბერი – ქალაქის ერთ-ერთი დამცველი – ხელებშეკრული მიჰყავდათ, ვიღაც ქალმა მიირბინა მასთან და ცემისაგან დასიებულ ტუჩებში ჩაუდო მანდარინის წილაკი. „ის არ შეიძლებოდა რომ მოეკლათ. ბომბების ცვენის დროსაც კი ეხმარებოდა ყველას განურჩევლად, ცდილობდა, გადაერჩინა მოხუცები, ქალები, ბავშვები, მას არ სტოვებდა შერიგების იმედი და ამ რწმენას უნერგავდა სხვებსაც“, – განუწყვეტლივ იმეორებდა ჯუმბერის მეუღლე ნელი.

– და არც ერთი სოხუმელი არ აღმართავდა ხელს ჯუმბერზე? – აი, პასუხი მეორე მხარიდან. მაგრამ რა მოხდა? არსაიდან ხმა... წყვდიადი აურაცხელი...

## „მაპატიე, მეგობარო....“

**თვითმფრინავ „იაკ-40“ ადლერის აეროპორტში. აქ აფხაზეთიდან ეს-ესაა ჩამოასვენეს მეთაურის – ჟიული შარტავას დასახიჩრებული ცხედარი. რამდენიმე წუთში თვითმფრინავი კურსს აიღებს თბილისისკენ.**

„ჟიულის მეგობრებიდან მე ვიყავი ერთადერთი, ვისაც ნება მისცეს, გაფრენილიყო ადლერში ჩვენი წარმომადგენლების ჯგუფთან ერთად აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ცხედრის ჩამოსატანად, – მეუბნება ჟიულის თანაკურსელი რამაზ აბაშიძე, ამ ცოტა ხნის წინათ რომ გარდაიცვალა. – ჟიულის ცხედარი ესვენა თვითმფრინავის ცენტრში ამაღლებულ ადგილზე. სალონში ჩემს გარდა არავინ ყოფილა, მეც, უკვე აღარ მახსოვს, რატომ, შტორის მიღმა ვიყავი ისე, რომ ვერც მხედავდნენ. მოულოდნელად თვითმფრინავში შემოვიდა სერგეი შოიგუ, რომელიც ამ პერიოდში სათავეში ედგა სამშვიდობო მისიას კონფლიქტის ზონაში. ის მივიდა ჟიულის ცხედართან, თავი დაბლა დახარა და თქვა: „მაპატიე, მეგობარო, რომ ვერ გაგიფრთხილდით“. დარწმუნებული ვარ, რომ შოიგუს ეჭვიც არ ეპარებოდა, თუ ვინმე მას თვალყურს ადევნებდა“.

## შარტავას სახელის უკვდავება

**ამ სტრიქონებს ვწერ ჩემს სახლში, ჟიული შარტავას ქუჩაზე რომაა. ადრე მას ანაგის ქუჩა ერქვა. მახსოვს, თუ ჟიულის ხსოვნის უკვდავყოფის კომისიაში, რომლის შემადგენლობაშიც იყო ამ სტრიქონების ავტორიც, დიდხანს ვერ შეთანხმდნენ, სად უნდა ყოფილიყო თბილისში შარტავას ქუჩა? ყველა შემოთავაზებული და განხილული ვარიანტი სხვადასხვა მიზეზის გამო უარყოფილი იქნა: ქუჩა იყო ან ნამეტანი მიყრუებული, ან რაიონი – შეუფერებელი და ა. შ. მაშინ მე შევთავაზე ჟიული შარტავას სახელი მიენიჭებინათ იმ ქუჩისთვის, რომელზეც ვცხოვრობ.**

ერთხელ, ჟიულის რომ ვუყურებდი, უკვე აღარ მახსოვს რა ვითარებაში, გავიფიქრე – სწორედ ასეთი ენერგიული, მიზანსწრაფული ადამიანების სახელებს ანიჭებენ ქალაქებს, რაიონებს, ქუჩებს. განა შემეძლო, მაშინ წარმომედგინა, რომ ეს ასე მალე მოხდებოდა?!



**ვადიმ ანასტასიადი**

დასასრული. დასაწყისი იხ. № 196

## სერიიდან „წმინდა მიწა“



წმინდა მდინარე იორდანე

# ნ. იორდანე და სოდომ-გომორი

როდესაც მდინარე იორდანეს სანახებში დააბიჯებ და შეიგრძნობ მის ღვთით ნაბოძებ მადლს, არ შეიძლება ყოველი შენი ნაბიჯი მოკრძალებული არ იყოს. აქ ყოველ მტკაველზე სუფევს, თითქმის დაუჯერებელი საოცრების სინამდვილე.

მისი წმინდა ტალღები ეპკურება ნაპირს და წარმოუდგენელი ამბების კორიანტელი ჰქრის! ამიტომაც იყო, ალბათ, რომ თაბორზე ფერისცვალების შემდეგ, მაცხოვარმა ჩვენმა და მისმა მოწაფეებმა აქეთკენ აიღეს გეზი.

...იოანე ნათლისმცემელს უკვე შესრულებოდა შობიდან ოცდაათი წლის ასაკი და, ღვთის განგებით, მიეღო წყალობა წმინდა მდინარეში ნათელი მიეცა და მოენათლა მრევლი.

იორდანეს ნაპირზე მომრავლებულიყო ნათლისღების მოსურნენი.

...და როცა, მათ სახილველ არეში იესო წარსდგა, იოანემ ცისკენ აღაპყრო მზერა და მუხლებზე დაეცა.

— ნუთუ, შენ მთხოვ მე ნათელს, იესო?... შენ თვითონ ხარ ნათელი ცისა!... შენ უნდა მომნათლო მე!... შენ ხარ უფლის ხმა და შენია ეს სამყარო!....

იესომ იუარა იოანეს ეს თავმდაბლობა:

— დაე, ასე იყოს ახლა, რადგან ჩვენ გვმართებს აღვასრულოთ სიმართლე!!...

...და ნათელ იღო მაცხოვარმა ჩვენმა, იოანეს ხელით!

...და, როცა მოინათლა იგი, მაშინვე ამოვიდა წყლიდან და აჰა, განეხსნა მას ცანი და იხილა სული ღვთისა დაბლა რომ ეშვებოდა მტრედივით და გადმოდიოდა მასზე.

და გაისმა ზეციური ხმა ღვთისა:

— „...ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელიც მე სათნოვიყავ!...“.

ნათლისღების შემდეგ იესო სამარტვილოდ და სამარხულოდ უდაბნოში წავიდა ვითარცა მემარტვილე ბერი, და დაჰყო მანდ ორმოცი დღე და ორმოცი ღამე, არაფერი უჭამია მას ამ ხნობას, არაფერი დაულევია მას ამასობაში, გარდა წყლისა და ღვთიური გონიერებით შეხვდა ეშმაკისეულ მრავალ გამოცდასაც.

ერთხელ, უდაბნოს ლოდებს შორის მომარხულე იესოს ეშმაკი მიუახლოვდა და უთხრა: — „თუ ძე ხარ ღვთისა, თქვი რომ ეს ლოდები პურებად იქცნენ!“. ხოლო, მან მიუგო პასუხად: — „არა მხოლოდ პურითა იცოცხლებს კაცი, არამედ ყოველი სიტყვით, რომელიც გამოდის ღვთის პირიდან!“ (მათე. 4.4.). მაშინ იგი ეშმაკმა მაღალი კლდის ქიმზე აიყვანა და უთხრა: — „თუ ხარ შვილი ღვთისა, გადავარდი აქედან, რადგან დაწერილია: თავის ანგელოზებს უბრძანებს შენ გამო და აგიტაცებენ ხელში, რათა არსად წამოჰკრა ფეხი შენ!“. იესომ უპასუხა: — „ესეც დაწერილა: „არა გამოსცადო უფალი ღმერთი შენი!“. (მათე.4.7.). მაშინ ეშმაკმა ბარაქით სავსე ველ-მინდვრები აჩვენა და უთხრა: — „ყოველივე ამას მოგცემ თუ, დაეცემი და თაყვანს მცემ მე!“. (მათე.4.9.). იესომ უპასუხა: — „განმშორდი, სატანავ, რადგანაც დაწერილია: — „უფალს ღმერთს შენსას თაყვან ეცი და მხოლოდ მას ემსახურე!“. (მათე.4.10.).

...და განერიდა ეშმაკი მას!

... და, აჰა, ანგელოზები მიუახლოვდნენ და ემსახურნენ იესოს“. (მათე.4.1.11), (მარკოზი 1.12.13.), (ლუკა.4.1.13.).

...ორმოცდღიანი მარხვისა და ლოცვის შემდეგ იესო გალილეაში დაბრუნდა და თავის თორმეტ მოციქულთან ერთად გააგრძელა ქადაგებანი სიბრძნისა.

...ამ მდინარის პირას ვდგევართ ახლა და, ჰოი, საოცრებავ!... ჩვენი გონებაც მორიგ საოცრებას ხედავს:

მკითხველო, თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე არასოდეს მსმენია და არც არასოდეს მინახავს, თევზები ეფერებოდნენ ადამიანს! ახლა კი, აგერ ვხედავ ამ საოცრებას და ღვთის ნაბოძები სიკეთე მგონია ეს!

მოდით და არ დაიჯეროთ, რომ სასწაული ხდება ქვეყანაზე. მაგრამ თუ არ დაიჯერებთ იმას, რასაც ახლა მოგიყვებით, მდინარე იორდანეზე ტანთგაძარცვულნი ჩაიძირეთ და იქ ნახავთ აქამდე უნახავს!

...თევზების მთელი ქარავანი შემოგეხვევათ ანაზდად და შენი სხეული იგრძნობს მათ ალერსს. გელოლიავებიან, გეფერებიან, ღვთიური ამოთქმით გებაასებიან და ლოცავენ თქვენს მობრძანებას!

...მენანებიან მრავლად მოჯარული „ტურ-ტურები“-ს ტურისტები. ისინი სპეციალურ „კვართებს“ ქირაობენ და თავით-ფეხებამდე „შეფუთულები“ ჩადიან იორდანეში და ღვთის მადლს ერიდებიან. თუმცა, რა ქნან, ასე აქვთ „ნაბრძანები“ „ტურტურებისაგან“!.... მაგრამ ჩვენ ხომ „ტურტურები“ არა ვართ, ჩვენივე თავი ჩვენვე გვეყუდვნის და ისე ვიქცევით, როგორც ვიქცევით! ამიტომ ის ტურისტები ვერასოდეს შეიგრძნობენ იმ მადლს, რასაც ნახევრად ტანთგანძარცვული მორწმუნე იგრძნობს მდინარე იორდანეში მოხვართქალე წმინდა მოციქულთაგან.

შეიგრძნობ ამ საოცრებას და რწმუნდები, — აქ, ამ ტალღებში ნათელღებული მესია კი არა, უბრალო მოკვდავიც უკვდავებას ეზიარება!

საოცრებაა თვით იორდანეც. იქ, ჩრდილოეთში, ჰერმონის მთიდან ჩამოედინება და მერე, ჯერ ტიბერიის ზღვას, იგივე ზღვას კენერეთისას, ზღვას გალილეისას და ტბას გენესარეთისას გაედინება. სამხრეთს მიუყვება და უერთდება მკვდარ ზღვას.

...და კიდევ, ჰოი, საოცრებავ!... მთელი ეს სივრცე-ხეობა 400 მეტრზე მეტად დაბლაა ოკეანის დონიდან! ეს ის არეა, რომელიც ერთადერთია დედამიწაზე და დედამიწის გულთან სიახლოვით ამაყობს. ამიტომ არა რა არს გასაკვირი, რომ აქ უამრავი საოცრება ხდებოდეს. ციურ სივრცეში დედამიწის სრბოლისას გრავიტაცია საით მიერეკება თავის „რაშებს“ ვინ იცის! ამიტომაც მოხდა ის, რაც მოხდა ქრისტეს ნათლიღების დღეს, — 19 იანვარს!... იორდანემ გეზი იცვალა და აღმა იწყო სვლა! ამიტომაც მობრძანდება აქ ყოველი წლის 19 იანვარს იერუსალიმის პატრიარქი, თაყვანს მიაგებს ამ ღვთიურ მოვლენას და ტალღებში სამჯერ ჩაუშვებს წმინდა ჯვარს!...

...და იორდანე კვლავ აღმა იწყებს სვლას!

...და გჯერა კაცს, ამ საოცრების სინამდვილისა!

...და გჯერა სინამდვილე პართეოგენეზისაც, უჯრედთა თვითგამრავლებისა!..

ბიოლოგები დამეთანხმებიან ამაში: — მხოლოდ ერთი მშობლიური ინდივიდიდანაც წარმოიქმნება ორგანიზმი!... „პართეოს“ ბერძნული სიტყვაა და ქალწულებრივს ნიშნავს! ცოცხალ ორგანიზმში ორი ტიპის გამრავლება ხდება, — ჩვეულებრივი და განსხვავებული!... აი, ამ განსხვავებულს ჰქვია „პართეოს“, — ქალწულებრივი ჩასახვა!

ყოველივე ამის შემხედვარესა და გამზიარებელს ისიც გჯერა, უფალმა გოგირდისა და ცეცხლის ნიაღვარი რომ მოუვლინა მკვდარი ზღვის აკანად განფენილ ქალაქებს, —სოდომს, გომორს, ადმუს და სებოიმს, რომელთა მაცხოვრებლები არად დაგიდევდნენ უფლის კანონებს და მისდევდნენ ცოდვილ ცხოვრებას. ცოდვები კი, უსაშველოდ ბევრი ჰქონდათ, ბეჩავთ! გარყვნილობა, მეძაობა და „უკულმართობა“ შემოეღოთ „წესად“.

...და უბრძანა უფალმა აბრაამს: — სრულად მოსპობდა ცოდვილ ქალაქებს თუ, მათში თუნდაც ათი ადამიანი მაინც არ აღმოჩნდებოდა უცოდველი!

ლოცულობდა აბრაამი, მაგრამ ათი კაციც ვერ აღმოჩნდა უცოდველი ამ არეში.

ამ დროს, ცოლთან და ორ ქალიშვილთან ერთად ცხოვრობდა სოდომში ერთი მართალი კაცი, სახელად ლოტი. უფალმა ოჯახში სტუმრად მიუვლინა ორი ანგელოზი ულამაზეს ყმაწვილბად სახენაცვალები. როცა იხილეს სოდომ-გომორელებმა ისინი, აღტკინდნენ ფრიად და აღსდგნენ. მივიდნენ ლოტის სახლთან და მოსთხოვეს მას მათი „გაცემა“ სექსუალური უკულმართობის ჩასადენად. ლოტმა სახლის კარები ჩარაზა და გასძახა მომხვდურთ:

— ამ კაცებს ნუ დაუშავებთ ნურაფერს!... ისინი ჩემი სტუმრები არიან და ჩემს ჭერქვეშ ცხოვრობენ!...

... მაინც არ ცხრებოდნენ სოდომ-გომორელები. მაშინ ანგელოზებმა ხელი ჩაჰკიდეს ლოტსა და მის ცოლ-შვილს და გაიყვანეს ქალაქის გარეთ, ოღონდ გააფრთხილეს: — „ნუ მიიხედავთ უკან!“.

...და აწვიმა უფალმა ამ ქალაქებს გოგირდი და ცეცხლი!

ლოტის ცოლმა ვერ შეისმინა ნათქვამი და უნებურად მოიხედა უკან.

...და იქცა იგი მარილის სვეტად!

ნასოდომარ, ნაგომორალ სივრცეზე ზღვა დაიღვარა, ზღვა მარილიანი, ზღვა უჩვეულო, ზღვა ცხოველმყოფელობას მოკლებული, მკვდარი ზღვა, რომელშიც დღესაც არ იძვრის სიცოცხლის ნიშანწყალი, მაგრამ... ისიც საოცრებაა ღვთისა:

უკვე მოგახსენეთ, — ისრაელისა და იორდანიის საზღვარზე მდებარეობს ეს ადგილი და დედამიწაზე ოკეანის დონიდან ყველაზე დაბლაა განფენილი. სამაგიეროდ, ყველაზე მომზიდველი და ორიგინალური სანახებითა და ლეგენდებით არის ჩაგვირისტებული. იგი ულრმესი ტბაა მსოფლიოში და მეორეა მლაშე ტბებს შორის. მისი სიმლაშე ცხრაჯერ აღემატება ოკეანის მლაშობას,რის გამოც აქ ბაქტერიების გარდა ვერანაირი ორგანიზმი ვერ ცოცხლობს. ამიტომაც ჰქვია მკვდარი ზღვა, — „ალ-ბაჰარ-ალ-მაჰიით“!

...თქვენ კი, გნებავთ მკვდარი ზვა დაუძახეთ მას და გნებავთ „ალ-ბაჰარი“ თუ, „ალ-მაჰიით“, დღეს წმინდა იორდანეს ნაკურთხი წყალი აკეთილშობილებს მას და უნიკალურია მისი თვისებები, — უკვდავების ტბას უწოდებდნენ მას ოდითგან! მის ტალღებში თავის უებრო სილამაზეს ინახავდა ლეგენდარული კლეოპატრა. ამ ტალღებზე სეირნობდნენ სოლომონ მეფე და არისტოტელე!

ამ ტბის სამკურნალო თვისებები, მართლაც უნიკალურია და მრავალ ავადმყოფობას კურნავს. ოღონდ, მკაცრად გაფრთხილდით, მხოლოდ კანის გარეგან სენს თუ განკურნავთ მისი მაცოცხლებელი წყალით, მისი რამდენიმე ყლუპი კი, მომაკვდინებელია! მის ტალღებზე შეგიძლიათ დაწვეთ და დაჯდეთ, ისაუბროთ და თუ, მოგესურვებათ, დაიძინოთ კიდეც, — არ ჩაიძირებით! მერე ადგებით და მის ტალღებში ფეხითაც შეგიძლიათ გაისეირნოთ! საინტერესოა ირგვლივ ყოველი!... საინტერისო და საშინელიცაა მისი ლეგენდებიც. მიბრძანდით და თქვენ თვითონ ნახეთ! ნუ შეგაშინებთ მისი წარსული. ათასწლეულებიდან ნათლავს მას წმინდა იორდანე და მისი კურთხევითაა, რომ ეს ტალღები დღეს ასე იზიდავს მსოფლიოს!

...საიდან სადაო და, როცა სოდომ-გომორის უბედურების „მატიანეს“ ვადევნებდი გონებას, ტანში მზარავდა ჩემს ქალაქში, ჩემს დედაქალაქში გამართული „გეი-პარადების“ კადრები! ნუთუ, გოგირდი და ცეცხლის ღირსი უნდა გავხდეთ ქართველები?

...გადავყურებ წმინდა იორდანეს და ვლოცულობ:

— უფალო დაგვიფარე!... მოგვივლინე მხსნელად წმინდა ანგელოზები და ლოტი, რომ უკან არ მოვიხედოთ და მარილის სვეტად არ იქცეს მოდგმა ჩვენი!

...წინ ბილიკია, რომელზეც მოილოცა ჩვენმა პატრიარქმა. ორ ზღვა შორის განრთხმულა ველობი და ლეხერა, რომელიც დედამიწის გულს დასდებია იარად.

გველოდება ბეთლემი და ბაღი ზეთისხილისა, „ვია- დოლოროსა“ და გოლგოთა. მანამდე „ტურტურების“ ტურისტებს უხმობს გიდი:

— ცოტა დაუჩქარეთ!... აქვეა ტაბხატაბლა-ტაბაკი, რომელიც თევზითა და პურით არის გაწყობილი!... გელოდებით ავტობუსთან!...

— სადაურია ის თევზი? — კითხულობს ვიღაცა.

— აქაური, ბატონო, იორდანესია!... — პასუხობს გიდი და მე მიკვირს...

— ნუთუ, ჩენი წმინდა „ხვართქალების“ მადლიანმა სიცოცხლემ უნდა დააპუროს ეს მშიერი კაცები?

— რას იზამთ?... ბიზნესი ბიზნესია, ბატონო!... თევზის ფხასაც ათმაგ ფასში ყიდიან აქ!... — მიპასუხებს ვიღაცა და წინასწარ ილოკავს ტუჩებს.

ღმერთო, გვაპატიე შეცოდებანი ჩვენნი!

**ზაურ ფიფია.**

2014 წ. მაისი.

**ფოტო ია ფიფიასი.**

(გაგრძელება იქნება).



ტიბერიის ზღვა, ანუ გენესარეთის ტბა

# მოწოდებით მაინც მხატვრად ვრჩები

**საიდუმლო არ არის, რომ საქართველოში ხელოვანებს საკუთარი თავის დამკვიდრება ძალიან უჭირთ. არაერთი ნაცნობი მხატვარი მყავს და მათი მონათხრობიდან ვიცი, რომ ბოლო წლების განმავლობაში ქვეყანაში არსებული პოლიტიკური კატაკლიზმებისა თუ სოციალური სიდუხჭირის გამო, მრავალი იმედისმომცემი მოქანდაკე, არქიტექტორი და ფერმწერი დავკარგეთ. ეს ადამიანები საკუთარ პროფესიაზე უზომოდ შეყვარებულები გახლდნენ, მაგრამ ქართულმა რეალობამ მძიმე გამოცდის წინაშე დააყენა. მრავალმა ხელოვანმა „ადგილობრივ" ცხოვრებისეულ გამოცდას ვერ გაუძლო და საყვარელი საქმიანობის მიტოვება მოუხდა.**

**ჩვენმა დღევანდელმა სტუმარმა შალვა ჭეიშვილმა თბილისის სამხატვრო აკადემია 1985 წელს დაასრულა. შალვა თავის თაობაში პერსპექტიულ და იმედისმომცემ ხელოვნად ითვლებოდა. ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში არაერთი წარმატებული გამოფენა ჰქონდა და სპეციალისტები ჩინებულ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. სამწუხაროდ ჩვენს ქვეყანაში სახვითი ხელოვნება დიდი პოპულარობით ვერ დაიკვეხნის და ახალგაზრდა შემოქმედი კარიერის დაწყებისთანავე არაერთი პრობლემის წინაშე დადგა. შალვა ჭეიშვილს საყვარელი პროფესიის მიტოვება არ სურდა, მაგრამ ადგილობრივმა მწარე რეალობამ სხვა გამოსავალი არ დაუტოვა. პერსპექტიულ ხელოვანს არაერთი სპეციალობის გამოცვლა მოუწია და ათი წლის წინათ საკუთარი თავი ახალ სფეროში დაიმკვიდრა. დღეს ბატონი შალვა ერთ-ერთი ტურისტული სააგენტოს ხელმძღვანელია და უცხოელებს საქართველოს ღირშესანიშნაობებს აცნობს.**

**შალვა ჭეიშვილს რამდენიმე დღის წინათ ვესტუმრე და თავდაპირველად მისი სამხატვრო კარიერით დავინტერესდი.**

აკადემიის ბოლო კურსზე ვიმყოფებოდი, როდესაც ცოტა ხნით იმდროინდელ ლენინგრადში გავემგზავრე და თან რამდენიმე ჩემი ნახატი წავიღე. ამჟამინდელ სანკტ-პეტერბურგში ჩასვლისთანავე ნევის პროსპექტს მივაშურე და სურათები გასაყიდად გამოვიტანე. სამწუხაროდ რამდენიმე კვირის განმავლობაში ამ ნახატებით არავინ დაინტერესებულა. იქაურებისთვის თბილისურ მოტივებზე შექმნილი ტილოები უინტერესო აღმოჩნდა და ვერც ერთი მათგანი ვერ გავყიდე. ამასობაში საქართველოდან წაღებული ფული შემომაკლდა და ერთი ექსპერიმენტის ჩატარება გადავწყვიტე. ორი დღის განმავლობაში სანკტ-პეტერბურგის რამდენიმე ხედი დავხატე და გაგიკვირდებათ, ორიოდე დღეში უცხოელმა ტურისტებმა ყველა დაიტაცეს.

ამ შემთხვევის შემდეგ მივხვდი რომ ჭეშმარიტ მხატვრობასა და კომერციულ ნახატებს შორის დიდი სხვაობაა. თუ ჭეშმარიტი ხელოვანი ხარ და საკუთარ გზას არ გადაუხვევ შიმშილით კუჭი დაგეწვება. საპირისპიროდ, თუ ე.წ. კომერციულ ნახატებს შექმნი ამ ცხოვრების სარჩო არასდროს შემოგაკლდება.

თბილისში დაბრუნების შემდეგ იძულებული გავხდი ორი მიმართულებით მემუშავა. ოჯახი შიმშილით რომ არ მომეკლა უცხოელ ტურისტებზე გათვლილ სურათებს ვქმნიდი, თავისუფალ დროს კი საკუთარ თავზე ვმუშაობდი და „არამოთხოვნად" ნახატებს ვხატავდი.

**— თქვენი ნამუშევრების მიმართ როგორი დაინტერესება იყო?**

— სამწუხაროდ საქართველოში სახვითი ხელოვნება და ზოგადად კულტურა არც წინა საუკუნის 90-იან წლებში და არც ამჟამად არავის აინტერესებს. უფრო მეტსაც გეტყვით: დღეს თბილისში სხვადასხვა გამოფენები ხშირად იმართება, მაგრამ საზოგადოების მხრივ დაინტერესება პრაქტიკულად არ არსებობს. გალერეებში ძირითად ჩვენ და ჩვენი ახლობლები დავდივართ. იშვიათია ჩვენი ნამუშევრების დათვალიერება ჩვეულებრივმა ადამიანმა რომ მოინდომოს. ეს მდგომარეობა ძალიან მაკვირვებს. ამისი მიზეზი ალბათ თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში უნდა ვეძებოთ. არაერთი ნიჭიერი მხატვარი გვყავს და სამშობლოში მათ საერთოდ არ აფასებენ. ნუ ეწყინებათ თანამემამულეებს, მაგრამ ჩემს სამშობლოში დღეს კულტურული ფასეულობების აშკარა დევალვაცია შეიმჩნევა.

თავის დროზე არა მარტო მე, სხვა ახალგაზრდა მხატვრებსაც არაერთი საინტერესო პროექტი გვქონდა და მომავალს ნათელ ფერებში ვუყურებდით. სამწუხაროდ, ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ ოცნება და რეალობა განსხვავებული ცნებებია და საკუთარი თავის დამკვიდრებისთვის თავდაუზოგავად უნდა იბრძოლო.

**— ქართველ მხატვრებს გალერეებში ნამუშევრების გამოფენა უჭირთ...**

— ეროვნული გალერეა დღეს თავის ფუნქციას ბოლომდე ვერ ასრულებს. გვრჩება კერძო გალერეები, რომელთა მუშაობა მათი მფლობელების გემოვნების გამოხატვასთან ერთად წმინდა კომერციულ დაინტერესებაზეა დაფუძნებული. ამ პირობებში მხატვარს საკუთარი ნამუშევრების ფართო საზოგადოებისათვის ჩვენება გარკვეულწილად უჭირს. შემოქმედს მართლაც რომ ორიგინალური ხედვა და განსხვავებული ნახატები უნდა ჰქონდეს რომ ამ გალერეების მფლობელთა გული მოიგოს და სურათები გამოფინოს. შეიძლება დარბაზის დაქირავებაც, რომელიც დღეში მინიმუმ 50 დოლარით იწყება. სამწუხაროდ ამგვარი ფუფუნების შესაძლებლობა მხატვართა დიდ ნაწილს არა აქვს. აქვე გეტყვით იმასაც, რომ თბილისში მხოლოდ ერთი-ორი გალერეაა, რომელიც მხოლოდ ნახატების გაყიდვიდან შემოსული პროცენტებით არსებობს. დანარჩენებს ზურგს სხვა ბიზნესი ან „ფულიანი" ახლობლების დახმარება უმაგრებს.

**— ჩვენი მხატვრების ნამუშევრებს უცხოეთში უფრო აფასებენ...**

— სახვითი ხელოვნების ნამუშევარი ფუფუნების საგანს მიეკუთვნება. საკუთარი გამოცდილებით გეტყვით, რომ ქართველი მხატვრების სურათების შეძენა ჩვენს თანამემამულეებსაც სურთ, მაგრამ შესაბამისი სახსრები არა აქვთ. უფრო მეტსაც მოგახსენებთ. ცნობილი ქართველი მხატვრების ნახატებიც არ იყიდება. ეს სრულიად ქართული პრობლემაა და ამისი ძირითადი მიზეზი ერთია. ის ერის განათლების დეფიციტში უნდა ვეძიოთ. ამის გარდა, მთავარი ფაქტორი ქვეყნის მიერ წარმოებული კულტურული პოლიტიკაა. საქართველოში კულტურა მეათეხარისხოვან სფეროდ მიიჩნევა. წლის განმავლობაში ეროვნულ გალერეასა და სახელმწიფო მუზეუმში ორი-სამი გამოფენა თუ ეწყობა და ამ ღონისძიებების ჩატარებით მაღალჩინოსნები მომგებიანი ქულების ჩაწერას ცდილობენ.

**— რას ურჩევდით ახალგაზრდა ქართველ მხატვრებს?**

— უპირველეს ყოვლისა, საკუთარი პროფესია უნდა უყვარდეთ და არ უღალატონ. თუ საქმეს გულით აკეთებ, ადრე თუ გვიან წარმატებას აუცილებლად მიაღწევ. სხვა საქმეა,რომ საქართველოში ნიჭიერი შემოქმედი პროფესიული თვალსაზრისით ვერ გაიზრდება. ამაში ბრალს ახალგაზრდებს ვერ დავდებ. ქვეყანაში უნდა არსებობდეს გარემო, რომელიც ამ ხალხს სტიმულს მისცემს და სხვადასხვა პროექტების განსახორციელებლად შესაბამის მოტივაციას მისცემს. ქვეყანაში შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური ფონიც უნდა არსებობდეს. სამწუხაროდ ამ ასპექტშიც მოვიკოჭლებთ. ამის გარდა საქართველოში ახალგაზრდა მხატვრების ხელშეწყობის პოლიტიკაც უნდა მიმდინარეობდეს. ამ მხრივაც სასიკეთოს ვერაფერს გეტყვით. ქვეყნის მაღალჩინოსნები საკუთარ პოლიტიკურ კეთილდღეობაზე ზრუნავენ და იგივე ნიჭიერი შემოქმედების პრობლემები ჯერ არ აინტერესებთ. მერე გამოვა მავანი და მავანი პოლიტიკური მოღვაწე და, — საქართველოდან რატომ გარბიანო, ამ ახალგაზრდებს იქით დააყვედრის.

**— სამწუხაროდ, საყვარელი საქმიანობის მიტოვება მოგიხდათ.**

— მართალი ბრძანდებით. მძიმე არჩევანი უნდა გამეკეთებინა. ან კომერციული ნახატები შემექმნა, ანდა საკუთარი ნიჭი სრულად უნდა გამომევლინა, მაგრამ ულუკმაპუროდ მევლო. გადაწყვეტილების მიღება რთული აღმოჩნდა, რამდენიმე წლის განმავლობაში არაერთი პროფესია გამოვიცვალე. თავდაპირველად დიზაინით დავინტერესდი, შემდეგ კომპიუტერულ გრაფიკაში ვმუშაობდი. მოგვიანებით შვეიცარიის საელჩოში და „ბრიტიშ პეტროლიუმში" შრომის უსაფრთხოების ოფიცრად ვსაქმიანობდი. აქვე მოგახსენებთ, რომ რამდენჯერმე აშშ-ის საელჩოდან დამიკავშირდნენ და პერსონალური გამოფენის მოწყობა მთხოვეს. რასაკვირველია დავთანხმდი და ჩემმა ნახატებმა დიდი მოწონება დაიმსახურა. სამწუხაროდ ეს ზღვაში წვეთი გახლდათ.

**— ამის შემდეგ ტურისტული სააგენტოს ჩამოყალიბების იდეა დაგებადათ?**

— დაახლოებით ათი წლის წინათ ერთ-ერთმა ახლობელმა უცხოელი ტურისტების მომსახურების კომპანიის ჩამოყალიბება შემომთავაზა. ამ იდეას თავდაპირველად ერთგვარი სკეპტიციზმით ვუყურებდი, მაგრამ მომავალმა მაჩვენა რომ ჩემი შიში უსაფუძვლო აღმოჩნდა.

თავდაპირველად ოფისი შარდენის ქუჩაზე გვქონდა. ორი მომხიბვლელი ქალიშვილი დავიქირავეთ და საქმიანობაც გავაჩაღეთ. მოგეხსენებათ 2004 წელს საქართველოში ინფრასტრუქტურა მაღალ დონეზე განვითარებული არ გახლდათ და უცხოელებისათვის მინიმალური კომფორტის შესაქმნელად გვარიანი ოფლის ღვრა მოგვიწია. მახსოვს, პირველი სტუმრები იტალიელები იყვნენ. ისინი შარდენზე სეირნობდნენ, შემთხვევით ჩვენს ოფისში შემოვიდნენ, დაინტერესდნენ და პირველი ტურიც შეგვიკვეთეს. თავდაპირველად თუშეთში ავიყვანეთ, შემდეგ კი ყაზბეგში გადავიყვანეთ. ბავშვებივით აღტაცებულები დარჩნენ და განსაკუთრებულ კომფორტს არ გვთხოვდნენ.

ამის შემდეგ ჩემმა მეგობარმა სხვა, „ფულიანი" სამსახური იპოვა და ახლადგახსნილი კომპანიის საქმეებს სრულიად მარტო შევეჭიდე.

**— ათი წლის განმავლობაში თქვენი კომპანია ალბათ შესამჩნევად გაიზრდებოდა.**

— ვერ ვიტყვი რომ შესამჩნევად. ჩვენი საქმიანობა სეზონური ხასიათისაა. უცხოელებს ძირითადად ზაფხულობით და შემოდგომის დასაწყისში ვემსახურებით. ამის და მიხედვით თანამშრომლებს რამდენიმე თვით ვქირაობ. მათი რაოდენობა 3-4 ადამიანიდან 20-მდე მერყეობს. შარდენის ქუჩაზე ოფისი რამდენიმე წლის წინათ დავხურეთ და პოტენციურ სტუმრებს ძირითადად სპეციალური ვებ-გვერდის დახმარებით ვპოულობთ. უფრო მეტიც. თავად გვიკავშირდებიან და მომავალ მარშრუტებს წინასწარ გვიკვეთავენ. ერთსაც გეტყვით. არ მკითხოთ წელიწადში რამდენ ადამიანს ემსახურებით და რა მოგებას ნახულობთო. ამაზე საუბარს ყოველთვის თავს ვარიდებ. ერთს კი გეტყვით. მიმაჩნია რომ ეროვნულ საქმეს ვემსახურები და უცხოელებს ჩემს ქვეყანას მაქსიმალურად ახლოს ვაცნობ.

**— უცხოელები ადგილობრივ ტრადიციებს როგორ ეგუებიან?**

— საქართველოს ნებისმიერ კუთხეში თავისი სპეციფიური ტრადიციები და ადათ-წესები არსებობს. ამის შესახებ უცხოელებს სპეციალურ ინსტრუქციებს წინასწარ ვუტარებთ და ისინიც ადგილობრივი „კანონების" დარღვევას მაქსიმალურად ერიდებიან. ალბათ გახსოვთ, რამდენიმე წლის წინათ, თუშეთში არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე ორმა უცხოელმა ყმაწვილმა მდინარე ალაზნის ნაპირებთან ერთმანეთის გაქანებული ხვევნა-კოცნა წამოიწყეს. თუშებმა ისინი გვარიანად მიბეგვეს და სოფლიდანაც გააძევეს. ამდაგვარი ინციდენტი ჩვენს ტურისტებს არ მოსვლიათ და დარწმუნებული ვარ მომავალშიც არ შეემთხვევათ.

**— კახეთის რეგიონი და სიღნაღი მესმის, მაგრამ იგივე მთიან რეგიონებში შესაბამისი ინფრასტრუქტურა როგორი განვითარებულია?**

— ამ რეგიონის მკვიდრმა მოსახლეობამ ახალ დროებას მხარი აუბა და იგივე ომალოში რამდენიმე საოჯახო ტიპის სასტუმრო გაიხსნა. მართალია მათი მომსახურების დონე იგივე ევროპის მაღალმთიანეთში არსებულ პირობებს შესამჩნევად ჩამოუვარდება, მაგრამ უცხოელი სტუმრები მაინც კმაყოფილები რჩებიან. ისინი ჩვენში განსაკუთრებული კომფორტის საძიებლად არ ჩამოდიან. მათთვის საქართველო განსაკუთრებით საინტერესო და ამოუცნობი ქვეყანაა.

ერთსაც გეტყვით. აქაური მომსახურების ფასები საკმაოდ ძვირია. მაგალითად იგივე ომალოში, ორსაწოლიანი ოთახი თავისი კვებით, დღე-ღამეში 100 ლარი ღირს. ამის მიუხედავად ჩვენს სტუმრებს ეს თანხები არ ეცოტავებათ და სიამოვნებით იხდიან.

**— თქვენს კომპანიას რუსეთ-საქართველოს ომის დროს აქტიური მონაწილეობა მიუღია.**

— მართალი ბრძანდებით. იმ მძიმე დღეებში თავდაპირველად „სი-ენ-ენის" კორესპონდენტები დაგვყავდა და ამ ტელეკომპანიის მიერ მომზადებულ და გაშვებულ სიუჟეტებში ჩვენი მოკრძალებული წვლილიც იყო. ომის ბოლო დღეებში კი ირლანდიელ ჟურნალისატებს ვემსახურებოდით. ოკუპირებულ რეგიონებში შეღწევა რომ შედარებით ადვილი ყოფილიყო, მე ირლანდიელად მომნათლეს და სპეციალური საშვიც გამომიწერეს, ჩემი მანქანა კი ამ ტელეკომპანიის ფერებში გადავღებეთ.

**— შალვა, ტურისტული ბიზნესი კარგია, მაგრამ მხატვრობას თავი საბოლოოდ დაანებეთ?**

— ამჟამინდელი საქმიანობა დიდ დროსა და ენერგიას მართმევს. სიმართლე გითხრათ, ძირითადი პროფესიისთვის იშვიათად ვიცლი. რასაკვირველია თბილისში ყოფნისას, ძირითადად ღამის საათებში ხელში ფუნჯს ვიღებ და საყვარელ მოლბერტს დროდადრო ვუბრუნდები. ამ ნახატებს ფართო ჩვენებებისთვის ან გასაყიდად არ ვქმნი. ვფიქრობ რომ წარმატებული ტურისტული სააგენტო მაქვს, რომელიც ათი წლის თავდაუზოგავი შრომით ავაწყვე, მაგრამ მოწოდებით მაინც მხატვრად ვრჩები.

**სანტიაგო გაუჩო**

## უცხოელებისთვის საქართველო საინტერესო და ამოუცნობი ქვეყანაა






## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# თბილისი საქართველოში სირიელი მეამბოხეების მომზადებას გამორიცხავს

**ოფიციალური თბილისი უარყოფს ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველომ შესთავაზა ამერიკის შეერთებულ შტატებს განათავსოს თავის ტერიტორიაზე მოსამზადებელი ცენტრი სირიელი მეამბოხეებისათვის და მათი შემდგომი მონაწილეობისათვის სირიასა და ერაყში ეგრეთ წოდებული „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ.**

**„უშიშროებისა და კრიზისების მართვის სახელმწიფო საბჭო მთელი პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს საქართველო აპირებს სირიელი მეამბოხეების მომზადებას, საერთაშორისო ანტიტერორისტული ოპერაციის ფარგლებში „ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ“, არ შეესაბამება სინამდვილეს“,** — ნათქვამია საქართველოს ამ სამთავრობო ორგანოს სპეციალურ განცხადებაში, რომლის თარიღიცაა 24 სექტემბერი.


Reuters

იქვე ნათქვამია, რომ „საქართველო მხარს უჭერს საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევას ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში“ და მონაწილეობას ღებულობს ოპერაციაში ავღანეთში, მაგრამ რაც შეეხება საქართველოს წვლილს „ისლამური სახელმწიფოს“ კოალიციის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით, იგი შემოიფარგლება ჰუმანიტარული მისიებით.

საქართველოს განზრახვის შესახებ შეუერთდეს ამ კოალიციას ადრე განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მია ფანჯიკიძემ გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე ირანში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით. ამავე დროს, 24 სექტემბერს ფანჯიკიძემ გამორიცხა საქართველოში სირიელი მეამბოხეებისათვის ცენტრის შექმნის შესაძლებლობა.

**„მე მკაფიოდ განვაცხადე, რომ ჩვენი მონაწილეობა ამ ოპერაციაში იქნება ჰუმანიტარული ხასიათისა: სწორედ ამას მინდა გავუსვა ხაზი ამჯერადაც. მე კატეგორიულად გამოვრიცხავ ქართველი სამხედროების მონაწილეობას საბრძოლო მოქმედებებში, ანდა რაიმე სასწავლო ცენტრის შექმნას ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე“,** — განუცხადა საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელებმა ჟურნალისტებს.

## სადავო სტატია

**ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველომ შესთავაზა თავისი ტერიტორია აღნიშნული საწვრთნელი ცენტრისათვის თეთრი სახლის ადმინისტრაციაში ანონიმურ წყაროზე მითითებით, წინა დღით გაავრცელა გამოცემა „ფორინ პოლისმა“. გამოცემას მოჰყავს ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს ელჩის არჩილ გეგეშიძის სიტყვები, რომელმაც თითქოსდა დაადასტურა, რომ ასეთი წინადადება უკვე გაკეთდა, მაგრამ მისი სიტყვებით, ეს ცენტრი მოამზადებს არა მხოლოდ მებრძოლებს სირიიდან, არამედ სხვებსაც ნებისმიერი სხვა ქვეყნიდან. თუმცა, ამავე დროს, გამოცემის თანახმად, საქართველოს ელჩმა ასევე განაცხადა, რომ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერჯერობით მიღებული არაა და ამ ეტაპზე ამერიკის შეერთებული შტატები ამ წინადადებას მხოლოდ განიხილავს.**

მიუხედავად ამისა, სტატიის გამოქვეყნების შემდეგ, ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს ელჩმა განაცხადა, რომ ჟურნალისტმა არასწორად განმარტა მისი გამონათქვამი.

**„ძალიან ვწუხვარ, რომ ჟურნალისტმა დაუშვა შეცდომა. მან ციტატად მოიყვანა ჩემი აზრი, რომელიც მე არ გამომითქვამს... თუ ეს საკითხი დაისმება, ისევე როგორც სხვა საკითხები, საქართველოს ხელისუფლება მას მოეპყრობა მთელი პასუხისმგებლობით, განიხილავს დადებით და უარყოფით მხარეებს და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებს გადაწყვეტილებას უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე. ასეთი პასუხი (ჟურნალისტის შეკითხვაზე) რაიმე დადასტურებას როდი ნიშნავს“,** — განმარტა ელჩმა გეგეშიძემ თავის კომენტარებში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის, რომელიც გააკეთა 23 სექტემბერს გვიან საღამოს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, სტატიის გამოქვეყნების შემდეგ, გაავრცელა ცნობა, რომელიც არ უარყოფდა, თუმცა, არც ადასტურებდა თბილისის გეგმას ანტიტერორისტულ საწვრთნელ ცენტრთან დაკავშირებით.

**„საქართველო, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული პარტნიორი, ისევე როგორც ნატოსთან ყველაზე შეფარდებითი ქვეყანა, განიხილავს, თუ რა ფორმით მიიღებს მონაწილეობას კოალიციის მიზნების მიღწევაში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. საერთაშორისო პარტნიორებთან და კოალიციის წევრებთან ერთად განიხილება ტერორიზმის საფრთხის ნეიტრალიზაციის სხვადასხვა გზები, რაც საფრთხეს უქმნის მსოფლიოს და დემოკრატიულ განვითარებას რეგიონში...**

**მოკავშირეების მიერ განხილული არც ერთი ვარიანტი არ ითვალისწინებს ქართული ჯარის ქვედანაყოფების გაგზავნას საბრძოლო მოქმედებათა ზონაში. საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული იქნება უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე“,** — ნათქვამია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 23 სექტემბრის განცხადებაში.

## ოპოზიციის რეაქცია

**ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ოპოზიციური პარტიის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებმა ურთიერთსაპირისპირო ინფორმაციასთან დაკავშირებით განაცხადეს თავიანთი დასკვნების შესახებ საქართველოს ტერიტორიაზე ანტიტერორისტული ცენტრის შექმნასთან დაკავშირებით.**

ამ პარტიიდან დეპუტატ გიორგი კანდელაკის აზრით, სახეზეა მორიგი მცდელობა, დაბლოკონ საქართველოს თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას ინიციატივა უკვე ერთი წლის წინათ გადამდგარი საქართველოს პრემიერის ბიძინა ივანიშვილის მხრიდან, რომელიც, როგორც ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში მიიჩნევენ, კვლავ მართავს ქვეყანას „კულისებიდან“.

## ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს კომენტარი

**თავის მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ საქართველოში უარი განაცხადა, კომენტარი გაეკეთებინა სადავო სტატიისათვის საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებთან საუბარში.**

**„ვფიქრობ, რომ პრემიერ-მინისტრის ოფისი და თავდაცვის სამინისტრო უკეთ გიპასუხებენ თქვენ, თუ კერძოდ რა წვლილს შეიტანს საქართველო ამ მნიშვნელოვან საერთაშორისო ძალისხმევაში. რაც შეეხება ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციას, გთხოვთ, გაეცნოთ თავდაცვის მინისტრის ჰეიგელის განცხადებებს, რომლებიც მან გააკეთა თბილისში ყოფნის დროს“,** — განაცხადეს საელჩოში 24 სექტემბერს.

შეგახსენებთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი ჩაკ ჰეიგელი იყო თბილისში სექტემბრის დასაწყისში უელსში ნატოს სამიტის დამთავრების უმალვე. მაშინ ჰეიგელმა მადლობა გადაუხადა საქართველოს შეტანილი წვლილისათვის საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და აცნობა ჟურნალისტებს, რომ საქართველოს თავდაცვის უწყების ხელმძღვანელთან ირაკლი ალასანიასთან შეხვედრის დროს განიხილებოდა საქართველოს მონაწილეობის შესაძლებლობა ამერიკის შეერთებული შტატების კოალიციაში „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ. ალასანიამ მაშინ განმარტა, რომ, მართალია, ჯერჯერობით არ ყოფილა მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება საქართველოს როლთან დაკავშირებით „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლაში, საქართველოს შეუძლია, შეიტანოს თავისი წვლილი „სწავლების“ უზრუნველყოფაში.

## საერთაშორისო საფრთხე

**პოლიტოლოგმა ლინკოლნ მიტჩელმა „ამერიკის ხმის“ ქართული რედაქციისათვის გაკეთებულ კომენტარებში აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლება, როგორც წინა, ისე ამჟამინდელი, აწარმოებს „თანმიმდევრულ“ პოლიტიკას ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის უშუალო მხარდაჭერასთან დაკავშირებით. მაგრამ პოლიტიკოსი სვამს შეკითხვას: რამდენად არის მზად, საქართველოს მოსახლეობა ამ ეტაპზე განათავსოს ანტიტერორისტული ცენტრი საქართველოს ტერიტორიაზე, რამაც პოტენციურად შეიძლება ქვეყანა გადააქციოს უფრო აშკარა სამიზნედ ტერორისტებისათვის?**

ექსპერტმა შეგვახსენა, რომ საქართველოს უელსში სექტემბრის სამიტზე არ მიანიჭეს მაპი, ამიტომ იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ატლანტიკური პერსპექტივები ჯერ ისევ შორსაა, მიჩელს ეჭვი ეპარება: რამდენად გამართლებულად მიიჩნევს მოსახლეობა, საქართველოს ხელისუფლების შესაძლო გეგმებს განათავსოს საქართველოში ანტიტერორისტული სასწავლო ცენტრი?

**ამავე დროს შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარლ ბილდტმა „ამერიკის ხმის“ საქართველოს რედაქციისათვის მიცემულ კომენტრებში აღნიშნა, რომ ტერორიზმი საფრთხეა მთელი მსოფლიოსათვის, მაშასადამე, განმარტა მინისტრმა, საქართველოს ხელისუფლებამ თავად უნდა გადაწყვიტოს — როგორი იქნება მისი წვლილი ტერორიზმის წინააღმდეგ სერთაშორისო ბრძოლაში.**

Voice of America

## დედამიწის ზურგზე



**ამერიკის შეერთებულ შტატებში შეშფოთებული არიან რუსეთის ფედერაციის ავიაციის გაზრდილი აქტიურობის გამო ცივი ომის სულისკვეთებით**

„რუსეთის საჰაერო ხომალდების შორეული რადიუსის ხშირი ფრენები არ შეუნიშნავთ უკვე დაახლოებით ათეული წელიწადია. რასაკვირველია, მათი განახლება ჩვენ მეტად გვაღელვებს“, — განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების წყნარი ოკეანის სარდლობის ხელმძღვანელმა ადმირალმა სემუელ ლოკლირმა მას შემდეგ, რაც რუსეთის ბომბდამშენები მიუახლოვდნენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის საჰაერო სივრცეს.

* * *

**სინცზიანში კვირის ტერაქტის მსხვერპლთა რიცხვი 50-მდე გაიზარდა**



დაღუპულთა შორისაა 40 ტერორისტი-თვითმკვლელი, რომლებმაც აამოქმედეს ასაფეთქებელი მოწყობილობა ლუნტაის მაზრის ერთ-ერთ დიდ ბაზართან, ორ პოლიციის უბანთან და მთელ რიგ სხვა საზოგადოებრივ ადგილებში. თავდამსხმელთა ნაწილი დაიღუპა აფეთქების დროს, დანარჩენები პოლიციამ გაანადგურა. ორი ტერორისტი დააკავეს.

* * *

**კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა დაადასტურეს, რომ კიმ ჩენ ინი ავადაა, კვლავ აჩვენეს ვიდეორგოლი კოჭლობით მოსიარულე ლიდერით**



ადრე სპეციალისტები ვარაუდობდნენ, რომ ჩრდილოეთი კორეის ბელადი შეიძლება განიცდიდეს სნეულებას ზედმეტი წონის გამო, რომელიც მან შეიძინა სტრესისა და ყველ „ემენტალისადმი“ სიყვარულის გამო. ადრე კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფო საშუალებები თავს ნებას არ აძლევდნენ ეჩვენებინათ ქვეყნის ხელმძღვანელების სისუსტე ან ავადმყოფობა.

* * *

**უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაასრულა საქმის გამოძიება 2 მაისს ოდესაში უწესრიგობის გამო. პოროშენკო სთხოვს რუსეთის ფედერაციას დაეხმაროს მთავარი ეჭვმიტანილის გადაცემაში**

შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის მრჩევლის სიტყვებით, 24 კაცს აცნობეს, რომ ისინი ეჭვმიტანილები არიან დანაშაულებში. კიდევ 9 კაცი ძებნაშია, მათ შორის, უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს ექს-ხელმძღვანელი ოდესის ოლქში დმიტრი ფუჩეჯი. პოროშენკოს სიტყვებით, იგი იმალება დნესტრისპირეთში და ხშირად ჩადის რუსეთში.



# ზღვიდან ზღვამდე, კიდით კიდემდე

## არაბეთის იმპერია

**ამ სახელმწიფოს ჩამოყალიბებით ეგრეთ წოდებული „ისლამის ოქროს ხანას“ (ჩვ. წ. VII-XIII ს.ს.) დაიწყო. ჰალიფატი 632 წელს, მუსლიმანური რელიგიის ფუძემდებლის მაჰმადის გარდაცვალებისთანავე შეიქმნა, მისი ბირთვი კი წინასწარმეტყველის მიერ დაფუძნებული მედინის თემი გახდა.** ასწლეულების მანძილზე არაბეთის ჰალიფატის ტერიტორიამ 13 მილიონი კვადრატული კილომეტრი მოიცვა, რომელშიც ძველი სამყაროს სამივე ნაწილი (აფრიკა, ევროპა, აზია) შედიოდა. XIII საუკუნის შუა ხანე-




ბისთვის, შიდა ომების გამო, ჰალიფატი იმდენად დასუსტდა, რომ ჯერ მონღოლებს არ გაუჭირდათ მისი დაპყრობა, შემდეგ კი ოსმალებს — წინა აზიის მეორე უდიდესი იმპერიის დამაარსებლებს დანებდნენ.

**იმპერიის ტერიტორია:** 13 მილიონი კვადრატული კილომეტრი.

**დედაქალაქი:** (მედინა, 620-650 წ.წ. მექა, 661-754 წ.წ; დამასკო, 754-762 წ.წ.; ელ-ჯუფა (762-836 წ.წ.); ბაღდადი 836-892 წ.წ.; სამარა 1892-1258 წ.წ.).

**აღზევების დასაწყისი:** 632 წელი.

**იმპერიის დაცემა:** 1258 წელი.

## საფრანგეთის იმპერია

**ესპანეთისა და პორტუგალიის შემდეგ საფრანგეთი მესამე ევროპული იმპერია გახდა, რომელიც ზღვისგადაღმა მიწებით დაინტერესდა.** 1546 წელს ახალი საფრანგეთის დაარსების შემდეგ (ამჟამინდელი კანადის კვებეკის პროვინცია) მსოფლიოში ფრანკოფონიის ჩამოყალიბება დაიწყო. ამერიკის კონტინენტზე ანგლოსაქსების დამარცხების შემდეგ, მერე კი ნაპოლეონის გამარჯვებებით შთაგონებულმა ფრანგებმა თითქმის მთელი დასავლეთ აფრიკა დაიპყრეს. XX საუკუნის შუა ხანებში საფრანგეთის იმპერიის ტერიტორიამ 13,5 მილიონ კვადრატულ კილომეტრს მიაღწია, მასში 110 მილიონი კაცი ცხოვრობდა. 1962 წელს საფრანგეთის კოლონიების უმეტესი ნაწილი დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა.

**იმპერიის ტერიტორია:** 13,5 მილიოინი კვადრატული კილომეტრი.

**მოსახლეობა:** 110 მილიონი კაცი.

**დედაქალაქი:** პარიზი.

**აღზევების დასაწყისი:** 1546 წელი.

**იმპერიის დაცემა:** 1940 წელი.

## ჩინეთის იმპერია

**ეს იყო აზიის უძველესი იმპერია, აღმოსავლური კულტურის აკვანი. პირველი ჩინური დინასტიები ქვეყანას ჯერ კიდევ ჩვ. წ. ა. II ათასწლეულში მართავდნენ, თუმცა პირველი იმპერია მხოლოდ ჩვ. წ. ა. 221 წელს შეიქმნა.** ცინის მმართველობის დროს, რომელიც ცისქვეშეთის უკანას-



კნელი მონარქიული დინასტია იყო, იმპერია 14,7 მილიონი კვადრატულ კილომეტრზე იყო გადაჭიმული. ეს 1,5-ჯერ აღემატება ჩინეთის რესპუბლიკის ახლანდელ ტერიტორიას, რადგან მას მონღოლეთი გამოაკლდა, რომელიც ახლა დამოუკიდებელი სახელმწიფოა. 1911 წელს მოხდა სინჰანის რევოლუცია, რომელმაც ჩინეთში მონარქიულ წყობას ბოლო დაუდო.

**იმპერიის ტერიტორია:** 14,7 მილიონი კვადრატული კილომეტრი.

**დედაქალაქი:** მუკდენი (1636-1644 წ.წ.), პეკინი (1644-1912 წ.წ).

**აღზევების დასაწყისი:** 1616 წელი.

**იმპერიის დაცემა:** 1912 წელი.

## ესპანეთის იმპერია

**ქრისტეფორე კოლუმბის მოგზაურობებმა, რომლებმაც კათოლიკურ მისიონერობასა და ქვეყნის ტერიტორიულ ექსპანსიას ახალი ჰორიზონტები გაუშალა, არსებითად, ესპანეთის მსოფლიო ბატონობას დაუდო საფუძველი. XVI საუკუნეში ლამის მთელი დასავლეთ ნახევარსფერო ესპანეთის ხელმწიფის ძლევამოსილ სამხედრო-საზღვაო ფლოტს — არამადას — ჰქონდა დაპრყობილი.** მისი მფლობელობა ხმელეთის თითქმის მეშვიდედ ნაწილზე (დაახლოებით 20 ათას კვადრატულ კილომეტრზე) ვრცელდებოდა და დედამიწის ყველა კუთხეში საზღვაო გზების ნახევარს აკონტროლებდა. ამერიკის სამხრეთ ნაწილის უდიდესი იანკებისა და აცტეკების იმპერიები კონკისტადორებმა გაანადგურეს, მათ ადგილზე კი თანამედროვე ლათინური ამერიკა წარმოიშვა.

**იმპერიის ტერიტორია:** 20 მილიონი კვადრატული კილომეტი.

**დედაქალაქი:** ტოლედო (1492-1561 წ.წ.), მადრიდი (1561-1601 წ. წ.), ვალიადოლიდი (1601-1606 წ.წ.), მადრიდი (1606-1898 წ.წ.).

**აღზევების დასაწყისი:** 1492 წლის 17 აპრილი.

**იმპერიის დაცემა:** 1898 წელი.

## რუსეთის იმპერია

**კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი რუსეთის იმპერია იყო, რომელიც ჯერ მოსკოვის სათავადოთი, შემდგომ კი სამეფოთი დაიწყო.** 1721 წელს პეტრე პირველმა რუსეთის იმპერიული სტატუსი გამოაცხადა, რომელიც ფინეთიდან ჩუკოტკამდე უზარმაზარ ფართობებს ფლობდა. XIX საუკუნის ბოლოს რუსეთის იმპერიამ თავის გეოგრაფიულ აპოგეას მიაღწია: 24,5 მილიონ კვადრატულ კილომეტრ ფართობზე ასი ერისა და ეთნოსის 130 მილიონი კაცი ცხოვრობდა. თავის დროზე მას ასევე ალასკაც კი ეკუთვნოდა, რომელიც ამერიკას 1867 წელს მიჰყიდეს, ასევე კალიფორნიის ნაწილსაც ფლობდა.



**იმპერიის ტერიტორია:** 24,5 მილიონი კვადრატული კილომეტრი.

**დედაქალაქი:** სანკტ-პეტერბურგი, მოსკოვი.

**მოსახლეობა:** 130 მილიონი კაცი.

**აღზევების დასაწყისი:** 1721 წლის 22 ოქტომბერი.

**იმპერიის დაცემა:** 1917 წელი.

## ბრიტანეთის იმპერია

**ჩამოყალიბების 400 წლის მანძილზე, მსოფლიო ბატონობისთვის უსასტიკეს ბრძოლაში მან ისეთ „კოლონიალურ ტიტანთა“ შემოტევებს გაუძლო, როგორებიც იყვნენ საფრანგეთი, ჰოლანდია, ესპანეთი, პორტუგალია.** გაფურჩქვნის ხანაში ლონდონი დედამიწის ხმელეთის მეოთხედს (34,6 მილიონ კვადრატულ კილომეტრს) აკონტროლებდა ყველა დასახლებულ კონტინენტზე, ასევე ოკეანის უკიდეგანო სივრცეებზე. ფორმალურად იგი დღესდღეობითაც არსებობს თანამეგობრობის სახით, კანადა და ავსტრალია კი, არსებითად, კვლავაც ბრიტანეთის დედოფლის მმართველობის ქვეშაა.

**იმპერიის ტერიტორია:** 34,6 მილიონი კვადრატული კილომეტრი.

**დედაქალაქი:** ლონდონი.

**მოსახლეობა:** 458 მილიონი კაცი (1922 წლისთვის დედამიწის მოსახლეობის დაახლოებით 24 პროცენტი).

**აღზევების დასაწყისი:** 1497 წელი.

**იმპერიის დაცემა:** 1949 წელი.

## მონღოლეთის იმპერია

**ყველა დროისა და ყველა ერის გამორჩეული იმპერია, რომლის არსებობის არსი მხოლოდ ომი იყო. მონღოლეთის დიდი იმპერია 1206 წელს, ჩინგისხანის მეთაურობით შეიქმნა და რამდენიმე ათეულ წელიწადში ბალტიის ზღვიდან ვიეტნამამდე გადაიჭიმა 38 მილიონ კვადრატულ კილომეტრზე, რასაც დედამიწის იმდროინდელი მოსახლეობიდან ყოველი მეათე კაცი შეეწირა.** XIII საუკუნის მიწურულისთვის მონღოლური ულუსები მთელი ხმელეთის მეოთხედზე იყო განფენილი და ნახევარმილიარდიანი მოსახლეობის მესამედით იყო დასახლებული. ისე კი ისიც უნდა ითქვას, რომ სწორედ მონღოლთა იმპერიის ნამსხვრევებზე ჩამოყალიბდა ევრაზიის ეთნოპოლიტიკური ჩონჩხი.

**იმპერიის ტერიტორია:** 38 მილიონი კვადრატული კილომეტრი.

**დედაქალაქი:** ყარაყორუმი, ხანბალიყი

**მოსახლეობა:** 160 მილიონი კაცი (1279).

**აღზევების დასაწყისი:** 1206 წელი.

**იმპერიის დაცემა:** 1368 წელი.

# მეცნიერების გამოცანები

**უხსოვარი დროიდან მოყოლებული, ყველაფერი იდუმალი და გამოუცნობი ადამიანის გონებას ანდამატივით იზიდავდა. ბუნებაც კაცობრიობის მთელი შეგნებული არსებობის მანძილზე მას თავსატეხებს არ აკლებდა. რამდენიმე მათგანზე ლაპარაკი წინამდებარე მასალაში გვექნება, მაგრამ საინტერესოა: როდის შევძლებთ ბუნების იმ საიდუმლოებათა ამოხსნას, რომელთა არსის გაგება დღევანდელ მეცნიერებას არ ძალუძს?**

### სინათლის სიჩქარე



**იმის მიუხედავად, რომ სინათლის სიჩქარესთან დაკავშირებით ვერც ერთი სამეცნიერო გმოკვლევა ვერ უარყოფს თეორიას იმის შესახებ, რომ იგი ზღვრულია, ბოლო ხანებში იმის სულ უფრო მეტი მტკიცებულება ჩნდება, რომ ეს თეზისი, შესაძლოა, არაკორექტული იყოს, ანუ სინამდვილეს არ შეესაბამებოდეს.** ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს, რომ ბნელი ენერგია დროთა განმავლობაში უფრო სწრაფად მოძრაობს. სხვებს მიაჩნიათ, რომ თუკი დიდი აფეთქების თეორია მართებულია, ჩანასახოვან მდგომარეობაში სამყარო სინათლის სიჩქარეზე გაცილებით უფრო სწრაფად ფართოვდებოდა. თუმცა კი დღემდე დანამდვილებით ვერავინ იტყვის, შევძლებთ თუ არა სინათლის სიჩქარეზე მეტი სიჩქარის მიგნებას.

### „დამკვირვებლის ეფექტის“ საიდუმლო

**დიდი ხნის მანძილზე მეცნიერები კამათობდნენ სინათლის ბუნების თაობაზე, რადგან საბოლოოდ ვერ დაედგინათ, ტალღაა ეს თუ ნაწილაკი, თუმცა კი შემდეგ გაირკვა, საქმე გაცილებით რთულ ფენომენთან გვაქვს.** გამოკვლევებმა ცხადყვეს, რომ ფოტონი ერთდროულად შეიძლება სინათლეც იყოს და ნაწილაკიც. მაგრამ, როცა მეცნიერებმა იმის გარკვევა სცადეს, თუ როგორ ირჩევს არსებობის ფორმას, ანუ როგორ ხდება იგი ტალღა ან ნაწილაკი, ყველაფერი თავდაყირა დადგა — ფოტონი მათ „არ ემორჩილებოდა“. ეს საიდუმლო, ანუ „დამკვირვებლის ეფექტი“, კვანტური მექანიკის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო გამოცანაა.



### კოსმოსის ხმა

**ასტროფიზიკოსები, რომლებიც ახლადწარმოშობილ ვარსკვლავებს სწავლობენ, 2006 წელს მეტად უცნაური პრობლემის წინაშე დადგნენ — ეს იყო იდუმალი ხმაური, რომელიც გამოკვლევებს ხელს უშლიდა.** მეცნიერებმა დღემდე ვერ დაადგინეს, თუ რა არის ამ „კოსმოსური ღრიალის“ მიზეზი. საქმე ის არის, რომ ბგერით ტალღას კოსმოსში გავრცელება არ შეუძლია, სიცარიელეში მხოლოდ რადიოტალღები ვრცელდება, მაგრამ საიდან მოდიან ისინი? რა არის მათი წყარო? მეტიც: ეს ბგერა იმაზე ექვსჯერ ძლიერია, ვიდრე ამის ვარაუდი შეიძლებოდა. მეცნიერებმა მხოლოდ იმის დადგენა მოახერხეს, რომ აღნიშნული რადიოტალღები დღემდე ცნობილ მათ არც ერთ სახეობას არ მიეკუთვნება, მათი წყაროები კი არც ახლად წარმოშობილი ვარსკვლავებია, არც კოსმოსური მტვერი.

### მთვარის ილუზია

**ეს ფენომენი ჯერ კიდევ არისტოტელეს დროიდანაა ცნობილი: ილუზია იმაში მდგომარეობს, რომ ჰორიზონტთან ახლოს მთვარე გაცილებით დიდი ჩანს, ვიდრე ზენიტში ყოფნისას.** უწინ ეგონათ, რომ ეს ატმოსფეროს ეფექტით აიხსნებოდა, თუმცა კი, მერე ამ მოსაზრების მცდარობა გაირკვა. სხვები ამტკიცებენ, რომ საქმე მანძილის ან ზომის ცდომილებაშია, მაგრამ შემდეგ ეს ჰიპოთეზაც მცდარად მიიჩნიეს. ამდენად ამ ეფექტის ახსნა თანამედროვე მეცნიერებას, ჯერჯერობით მაინც, არ შეუძლია.



ექო

# ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო განყოფილების სრული შემადგენლობა გადადგა

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო განყოფილების სრული შემადგენლობა გადადგა. მათ შესაბამისი თხოვნით ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს**



**ზვიად სიჭინავას მიმართეს. სამსაჯო განყოფილების გადაწყვეტილება მსაჯების დაკავებას უკავშირდება.**

სფფ-ის პრეზიდენტმა სამსაჯო განყოფილების ხელმძღვანელის სერგო კვარაცხელიასა და მისი მოადგილეების განცხადებები დააკმაყოფილა.

რაც შეეხებათ დაკავებულებს, მათ ადვოკატები შეხვდნენ. ადვოკატებს გადაეცათ საქმის მასალებიც.

შსს-ს ანტიკორუფციულმა სააგენტომ კომერციული მოსყიდვის ფაქტზე რვა პირი დააკავა. დაკავებულები არიან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა და მსაჯთა დამკვირვებელთა კომიტეტის ეროვნული კატეგორიის არბიტრები — 1977 წელს დაბადებული ოთარ ხ., 1979 წელს დაბადებული ირაკლი უ., 1972 წელს დაბადებული მამუკა უ., 1975 წელს დაბადებული თეიმურაზ ხ., ასევე პირველი კატეგორიის არბიტრები, 1975 წელს დაბადებული ალექსანდრე გ., 1984 წელს დაბადებული ზვიად ა., ეროვნული კატეგორიის ასისტენტი, 1974 წელს დაბადებული ონისე მ. და ფიფას არბიტრი, 1986 წელს დაბადებული თორნიკე გ..

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებული პირები 2500-დან 5000 აშშ დოლარამდე თანხის სანაცვლოდ წინასწარ ურიგდებოდნენ მოქალაქეებს მათი მსაჯობით ჩასატარებელ თამაშებში ფეხბურთელთა დასაჯარიმებელი ყვითელი და წითელი ბარათების რაოდენობაზე, რასაც ზედმიწევნით ზუსტად ასრულებდნენ. როგორც შსს-ში განაცხადეს, ამ სქემით ბრალდებულები აღნიშნულ მოქალაქეებს საშუალებას აძლევდნენ წინასწარ შეპირებული ჯარიმების რაოდენობის მიხედვით გაკეთებული ფსონით მოგება მიეღოთ.

გამოძიება ჯგუფურად ჩადენილი კომერციული მოსყიდვის ფაქტზე მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 221-ე მუხლის მე-4 ნაწილის ა ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით 4-დან 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიების მონაცემებით, ანალოგიური სქემით მოქმედებენ სხვა მსაჯებიც, რომელთა მიმართ გამოძიება გრძელდება. გამოძიებას აწარმოებს შსს-ს ანტიკორუფციული სააგენტო. თუ როდის გაიმართება აღკვეთის ღონისძიების შესახებ სასამართლო პროცესი, ამ დროისთვის უცნობია.

დავძენთ, რომ სამსაჯო კომიტეტმა საგანგებო სხდომაზე ბრალდებულ მსაჯებს სამუდამო დისკვალიფიკაცია მისცა.

**გიორგი შოთაძე**

რაგბი

# ხუთქულიანი მოგება გვინდა

**დღეს ვაკეში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე საქართველოს სარაგბო გუნდი „თბილისის კავკასიელები“ „ჩელენჯ კაპის“ ჯგუფურ ეტაპზე გასასვლელად იტალიურ „როვიგოს“ დაუპირისპირდება. ამ წყვილის პირველი შეხვედრა აპენინებზე ჩვენებმა ოთხი ქულის სხვაობით დათმეს — 18:22. ლევან მაისაშვილის შეგირდებს მიზნის მისაღწევად დღეს სულ მცირე 5-ქულიანი სხვაობით მოგება სჭირდებათ. „თბილისის კავკასიელების“ მთავარმა მწვრთნელმა თქვა, რომ „იტალიელებს ასეთი**



**დონის ტურნირებში ასპარეზობის დიდი გამოცდილება აქვთ, ქართველები კი დებიუტანტები არიან. ამის მიუხედავად, გამარჯვება ორივე გუნდს შეუძლია. მეტოქის სუსტი მხარეების გამოყენებას თუ შევძლებთ, ქართველ გულშემატკივრებს გავახარებთ“.**

„თბილისის კავკასიელები“ საპასუხო მატჩისთვის ასეთი შემადგენლობით ემზადებოდნენ: ბაჩანა გოგიშვილი (ყოჩები), გიორგი სანიკიძე, ბადრი ალხაზიშვილი (ორივე — ლელო), ირაკლი ჩომახაშვილი (არმაზი), დავით გურგენიძე (არმია), ომარ ბალიაშვილი, არჩილ ბეჟუაშვილი (ორივე — ლოკომოტივი), სანდრო ქოიავა (ლელო), ბექა ბიწაძე (არმია), მიხეილ არჩუაშვილი (ყოჩები), ელგუჯა სურგულაძე, ბაჩანა კოლელიშვილი, ზვიად მაისურაძე (სამივე — ლელო), გიორგი თხილაიშვილი (ბათუმი), გიორგი მჭედლიშვილი (ჯიქი), გიორგი კაჭარავა (ლელო), გიორგი ბეგაძე (ყოჩები), ვასილ ლობჟანიძე (არმაზი), ლაშა ხმალაძე (ლელო), თემურ სოხაძე (ყოჩები), ალექსანდრე თოდუა, თორნიკე ცერცვაძე (ორივე — ლელო), ირაკლი ჩხიკვაძე (არმია), გიორგი ფრუიძე (აია), გიორგი შკინინი, ბექა წიკლაური (ორივე — ლოკომოტივი), ირაკლი ყიასაშვილი (ლელო), გიორგი აფციაური (აია).

წარმატების შემთხვევაში „თბილისის კავკასიელები“ „ჩელენჯ კაპის“ გათამაშების A ჯგუფში მოხვდებიან, სადაც „კარდიფ ბლუზს“ (უელსი), „ლონდონ აირიშსა“ (ინგლისი) და „გრენობლს“ (საფრანგეთი) გაუწევენ მეტოქეობას.

**ლექსო ცინცაძე**

ჯაჭვური რეაქცია



# ყინულოვანი ვნებები

**ეს რა ნავსიანი სექტემბერი დაგვიდგა — ჭიდაობისა და ფეხბურთის შემდეგ შფოთი ფიგურული სრიალის მმართველ სტრუქტურაში ატყდა.**



ბუნებრივია, ორივე მხარე საკუთარი პრეტენზიების გამყარებას შესაბამისი არგუმენტების მოშველიებით ცდილობს, მაგრამ მიგვაჩნია, რომ არც ფედერაციის მოქმედ თავქალს მაკა გიორგობიანსა და, მით უმეტეს, არც საციგურაო ცენტრის თავკაცსა და თაობათა აღმზრდელს ირაკლი ჯაფარიძეს პროფესიონალიზმი არ დაეწუნებათ, რომ არაფერი ვთქვათ გამოცდილებაზე.

ასე რომ, ვიდრე გვიან არ არის, ვისურვებთ, პატივცემულმა პიროვნებებმა ემოციები დაიოკონ და ერთიანი ძალისხმევით განაგრძონ ქართული სპორტის სასახელო ტრადიციების შენარჩუნებაზე ზრუნვა.

**კობა კობახიძე**

ესლა გვაკლდა

## „სპარტაკის“ ექსკაპიტანი:

# ჯანომ ბოდიში უნდა მოიხადოს

**საფეხბურთო კლუბ მოსკოვის „სპარტაკის“ ექსკაპიტნის ეგორ ტიტოვის აზრით, ჯანო ანანიძემ თავისი საქციელის გამო თანაგუნდელებს ბოდიში უნდა მოუხადოს.**



„ჯანო უნდა მივიდეს და გუნდის წინაშე ბოდიში მოიხადოს. საერთოდ, ასე ხდება ხოლმე. ამბიცია ამბიციად, მაგრამ სეზონი მიმდინარეობს და შესაძლოა, ისე მოხდეს, რომ ბიჭი ზამთრამდე უსაქმოდ დარჩეს. ეს მას არ წაადგება. ტრაგიკული არაფერი მომხდარა და მუშაობა უნდა გააგრძელოს, განაჩენი კი მიღებული გაკვეთილია. იაკინმა აჩვენა, რომ ასეთი საქციელი მისთვის მიუღებელია. საკმაოდ მნიშვნელოვანია, რომ ისტორია გახმაურდა და კლუბმა განცხადება გააკეთა, თუმცა, დარწმუნებული ვარ, იაკინმა მოთამაშე როგორც დასაჯა, ასევე აპატიებს. ისეთ ჭკვიან მოთამაშეებზე, როგორიც ჯანოა, ხელაღებით უარის თქმა არ ღირს“, — იუწყება ტიტოვის ნათქვამს „სოვეტსკი სპორტი“.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული გუნდის შემტევი ნახევარმცველი „სპარტაკის“ მთავარმა მწვრთნელმა მურატ იაკინმა დისციპლინის დარღვევისთვის და მოთხოვნების შეუსრულებლობისთვის დუბლშემადგენლობაში გადაიყვანა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

სუმო

# ელიტაში — რეკორდით

12 დღე და 12 მოგება — ასეთი შედეგი აქვს იაპონიაში მიმდინარე სექტემბრის ბაშოზე ძურიოს მე-5 ნომერ ლევან გორგაძეს **(ტოჩინოშინი)** — მე-12 გამარჯვება მან ასაჰიშოს რკალიდან გაგდებით მოიპოვა, რითაც 26 წლის ქართველმა სუმოისტმა საბოლოოდ დაიბევა ელიტის საგზური. ამასთან, შეჯიბრების დამთავრებამდე სამი დღით ადრე გორგაძეს ტიტულის მოსაპოვებლად 1 მოგებაც ჰყოფნის, რადგან უშუალო კონკურენტებს მხოლოდ 3-3 მოგებით უსწრებს. დარჩენილ პაექრობებში მარცხის შემთხვევაშიც კი ჩვენებურს საჩემპიონო პლეი ოფი მაინც დაბევებული აქვს. საგულისხმოა ისიც, რომ ლევანის კარიერაში სარეკორდო იყო 11 მოგება, რაც ერთი ერთეულით გაიზარდა, თუმცა მისი გაუმჯობესების შანსიც აქვს. რაც შეეხება მეორე ქართველ სუმოისტ თეიმურაზ ჯუღელს **(გაგამარუ),** მან მე-8 მარცხი იგემა და რეიტინგში დაქვეითდება.



**გივი გაგუა**

ინტერნეტიდან

# მათეუსის ოჯახის შექმნის მეხუთე ცდა

**ლეგენდარული ფეხბურთელი ლოთარ მათეუსი პირად ცხოვრებაში იმდენად აბდაუბდა და გაურკვეველი კაცი ყოფილა, რომ აქამდე უკვე ოთხჯერ იქორწინა და ოთხივეჯერ ეს ქორწინება განშორებით დასრულდა. ფაქტია, რომ ლოთარისგან ქალები გარბიან და ყველა იძახის, ნამეტანი ეჭვიანი და უჟმური ვინმეაო.**



თუმცა, რეალობასა და წუთისოფლის სიმუხთლეს მათეუსი არ შეეპუა და ცოტა ხნის წინათ მეხუთედ დაიდგა მეუღლის უღელი. ამჯერად ლოთარის რჩეული რუსი ლამაზმანი ანასტასია კლიმკოა, რომელთანაც ლოთარს ერთი ბავშვის შექმნა უკვე მოუსწრია და მომავალში რას აპირებს, კაცმა არ იცის.

გერმანული ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა ამჟამად 53 წლისაა და მას წინა ქორწინებებიდან უკვე იმდენი შვილი დაუგროვდა, ალბათ მათი ერთმანეთისგან განსხვავებაც კი უჭირს, მაგრამ გერმანელი მობურთალი ჯიუტად იძახის, რომ არც ერთ ცოლთან დაშორება მისი ბრალი არ ყოფილა და მას უბრალოდ ვერ უგებენ. ამის მერე აბა რა გინდა რომ თქვა?!...

**როსტომ რაჭველიშვილი**

◉ ის მრევლს უყვარს

# იცოცხლე, მოძღვარო!



**დღეს** ქართულ ეკლესიას და მის საჭეთმპყრობელს, ჩვენს ცოცხალ წმინდანს ილია მეორეს საოცარი რწმენით და იმედით შეჰყურებს მრევლი.

მრევლი ქართველი ხალხია. მრევლი მთელი ერია. მართლმადიდებლობის მსგავსი სიყვარული შუა საუკუნეების „ოქროს ხანის“ შემდეგ ალბათ არა გვქონია. ამიტომაც მიიჩნევს ყველა ჭეშმარიტი მორმწუნე, რომ საქართველო გადარჩება, საქართველო გამთლიანდება, საქართველო აღორძინდება.

ქვეყნის გადარჩენა და აღორძინება მხოლოდ რწმენას, მხოლოდ ცოდნას, მხოლოდ გონივრულ ბრძოლას შეუძლია.

თითოეული ქრისტიანი ქართველის სულიერი ცხოვრება რომ მუდმივი ბრძოლებითაა აღსავსე, ამის ნათელი მაგალითია ერთი მზიანი და გულიანი მოძღვარი, წმინდა იოანე ღვთისმეტყველის ტაძრის დეკანოზი გიორგი სხირტლაძე.

ეს არის კაცი, რომელიც თავისი თავმდაბლობით, განსწავლულობით, სულიერი სიმტკიცით და მიტევების დიდი ნიჭით გამოირჩევა. მისი ქადაგებანი და საუბრები (ორ ტომად გამოიცა), პუბლიცისტური წერილები და საუბრები, ასე ხშირად რომ იბეჭდება საერო და საეკლესიო ჟურნალ-გაზეთებში, ერთმნიშვნელოვნად გაზიარებით სააქაო წუთისოფლის მშვენიერებას და სახარებისეულ მარადიულ შეგონებას: **არ გაუკეთო სხვას ის, რაც შენ არ გინდა გაგიკეთონ, გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა საკუთარი თავი და მუდამ გქონდეს სიყვარულის და შენდობის ძალა.**

მამა გიორგი სხირტლაძეს, როგორც ტკბილმოუბარ მოძღვარს მუდამ თავს ეხვევა მრევლი. ეს მისადმი გამოვლენილ გულწრფელ სიყვარულს და ღვთის ერთგულებას ნიშნავს.

დღეს მამა გიორგის დაბადების დღეა. ჯვართამაღლებას გილოცავთ!, დიდხანს იცოცხლეთ და იღვაწეთ, მოძღვარო!..

**სპარტაკ ქოზულია**

◉ დიმიტრი ყიფიანი — 200

# პატივმიგება მამულიშვილის ღვაწლისა

**მართლაც სახალხო დღესასწაულად იქცა დიდი ქართველი მამულიშვილის, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული დიმიტრი ყიფიანის საიუბილეო თარიღი, რომელიც ფონდის „მამულიშვილთა გახსენება“ პრეზიდენტის, ბატონ ბონდო კობაძის ინიციატივითა და ძალისხმევით გაიმართა.**



დიდ ერისკაცს დაბადებიდან 200 წელი შეუსრულდა. ქართველი საზოგადოების წარმომადგენლებმა, კულტურისა და ხელოვნების მუშაკებმა, მთავრობის წევრებმა და დიმიტრი ყიფიანის ღვაწლის დამფასებლებმა მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში პატივი მიაგეს დიდ ქართველს. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ყველა კუთხიდან მოწვეულმა სტუმრებმა. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით მთაწმინდის მამადავითის სახელობის ტაძრის არქიმანდრიტმა **მამა არჩილმა** წმინდა დიმიტრი სამშობლოსთვის წამებულის სახელზე პარაკლისი გადაიხადა.

საღამოს ნაძალადევის კულტურის სახლში გაიმართა ფონდის „მამულიშვილთა გახსენება“ პრეზიდენტის, დავით ალმაშენებლისა და ექვთიმე თაყაიშვილის პრემიების ლაურეატის **ბონდო კობაძის** წიგნის **„დიმიტრი ყიფიანი — 200“**-ის წარდგინება. საღამოს ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებთან ერთად ესწრებოდა დიდი მამულიშვილის შთამომავალი — ძმის შვილთაშვილი **ალიკო ყიფიანი**. ზეიმში მონაწილეობდნენ ქართული ხელოვნების, თეატრისა და ესტრადის ცნობილი მსახიობები. საზეიმო სხდომისა და კონცერტის რეჟისორი იყო საქართველოს სახალხო არტისტი **ჯემალ ღაღანიძე**. წამყვანები კი — საქართველოს სახალხო არტისტი, სახელოვანი ქორეოგრაფი **თენგიზ უთმელიძე** და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, სახელმწიფო მრჩეველი **ვახტანგ გაჩეჩილაძე**.

საერთო სახალხო დღესასწაული მეორე დღეს დიმიტრი ყიფიანის მშობლიურ კუთხეში გაგრძელდა. ბატონ ბონდო კობაძის ხელმძღვანელობით ხაშურს ეწვივნენ ლიტვის დელეგაციის წარმომადგენლები, უკრაინელი სტუმრები, საქართველოს პარლამენტის წევრები **ვალერი გელაშვილი და სოსო ჯაჭვლიანი,** ქართველი მწერლები და ხელოვნების მუშაკები.

„ხაშურქალაქობის“ ინიციატორებმა და დიდი მამულიშვილის ღვაწლის დამფასებლებმა დაუვიწყარი დღე მიუძღვნეს ღირსეული წინაპრის ხსოვნას.

**ნატო ლომაძე**

◉ ინფორმაცია

## თურქეთის სკოლებში ქართული ენის სწავლება დაიწყო

**თურქეთის** განათლების სამინისტრომ თურქეთის საშუალო სკოლებში ქართული ენის სწავლების პროგრამა დაამტკიცა. ამის შესახებ ინფორმაცია თურქეთში საქართველოს საელჩოს „ფეისბუქის“ გვერდზე გავრცელდა.

მათივე განმარტებით, პროგრამა ითვალისწინებს მიმდინარე წლიდან თითოეულ საშუალო სკოლაში, ქართული ენის შემსწავლელი 10 და მეტი მოსწავლის არსებობის შემთხვევაში მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 კლასებში ქართული ენის 24-საათიან სწავლების პროგრამას.

როგორც საელჩოში აღნიშნავენ, ამ პროგრამის შედგენაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის თურქეთში ქართული კულტურის სახლის ხელმძღვანელს, თურქეთის სახელმწიფო ტელევიზიაში (TRT) საქართველოს შესახებ მრავალსერიანი დოკუმენტური ფილმის („კავკასიის ქარი“) ავტორს ერდალ ქუჩუქსა (ელიზბარ ციმნარიძე) და ცნობილ ანკარელ მწერალს ქევსერ რუჰს (ქეთევან ხანთაძე).

პროგრამის თარგმანში ქევსერ რუჰთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ პროფესორი ნანა კაჭარავა და ანკარის უნივერსიტეტის მაგისტრანტი მარიამ გაფრინდაშვილი.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
568 82-09-84.

# განცხადება
## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[I]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ზაზა ბერელიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ზაზა ბერელიძე (პირადი №01005009603), მის: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №8, ბინა №38;
**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** ქ. თბილისი, კოჯორი, სოფელი კვესეთი, 600კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 81.01.07.493);
**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.
2. **უძრავი ნივთების საწყისი ფასი:** 11977.03 ლარი, საიდანაც 11501.96 ლარი არის დავალიანების თანხა, 460.07 ლარი არის სპეციალისტის მომსახურების საფასური, 15 ლარი არის ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ მიერ საჯარო რეესტრის ამონაწერის განახლებისათვის გაწეული ხარჯი.
3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2014 წლის 7 ოქტომბერი, 15:30 საათი;
4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;
5. **მოვალე:** შპს „ლაზურკა“ (ს/კ 401978758), მის: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №8, ბინა №38;
6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31;
7. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2014 წლის 7 ოქტომბრის, 15:30 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.



**საქართველოს საერთაშორისო საავტომობილო გადამზიდავთა ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საავტომობილო ტრანსპორტის დარგის თვალსაჩინო და დამსახურებული მუშაკი, კომპეტენტურობითა და პასუხისმგებლობით გამორჩეული ღირსეული ადამიანი**

**გიზო აბზიანიძე**

**და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

◉ სტიქია

## ფოთის პორტში გემების შესვლა შეფერხდა

**უამინდობის გამო ფოთის პორტში გემების შესვლა შეფერხდა, რამაც მგზავრთა უკმაყოფილება გამოიწვია. რეიდზე ამჟამად 3 ბორანი და 14 გემი დგას. ისინი პორტში დროულად შესვლას ითხოვენ.**

**„როცა ძლიერი შტორმია, გემები ვერ შემოგვყავს, რადგან არის საშიში მდგომარეობა, ამ დროს იხურება ნავსადგური. ამინდის პროგნოზით თუ ვიმსჯელებთ, საღამოს ზღვა უნდა ჩაწყნარდეს, რის შემდეგაც პროცესი განახლდება“, — განაცხადა ფოთის პორტის შორეული ნაოსნობის კაპიტანმა ზურაბ ტერენტიევმა.**

სულიერება

# ჯვართამაღლება



**27 სექტემბერს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია თაყვანს სცემს და დღესასწაულობს მსოფლიო ამაღლებას პატიოსნისა და ცხოველმყოფელისა ჯვარისა.**

...კონსტანტინე დიდის დედამ, კეთილმსახურმა დედოფალმა ელენემ გადაწყვიტა იმ ჯვრის მოძებნა, რომელზეც იესო ქრისტე გააკრეს და საგანგებოდ გაემგზავრა იერუსალიმში, მას უთხრეს, რომ ეს ჯვარი ჩაფლულია მიწაში და ზედ წარმართთა ტაძარი აშენებული.

დედოფლის ბრძანებით ტაძარი დაშალეს, გათხარეს და ნახეს სამი ჯვარი და პატარა ფიცარი, რომელზეც ეწერა: „იესო ნაზარეველი, მეუფე ურიათა“.

...იმის გასაგებად, თუ რომელი მათგანი იყო ცხოველმყოფელი ჯვარი, სამივე ჯვარი რიგ-რიგობით შეახეს მიცვალებულს; ორი ჯვრით სასწაული არ მოხდა, მესამე ჯვრის შეხებით კი მიცვალებული აღსდგა... ასე ამოიტანეს უფლის ჯვარი... აამაღლეს იგი!

ჯვართამაღლებისას უამრავი ხალხი იყო შეკრებილი. ყველა იქ მყოფთ სურდა ჯვრის ხილვა — ცხოველმყოფელი ჯვრის დანახვისას ადამიანები თაყვანს სცემდნენ სიწმინდეს შემდეგი სიტყვებით: „უფალო შეგვიწყალე!“

წმინდა იოანე ოქროპირი ამბობს: „ჯვარი არის ჯოჯოხეთიდან ჩვენი გამოხსნის, სიკვდილზე გამარჯვების სიმბოლო, ჩვენი გადარჩენის იარაღი“.

ჯვართამაღლების დღესასწაული მარხვით აღინიშნება. ამ დღეს ტაძრებში ჯვარი საზეიმოდ გამოაქვთ და თაყვანს სცემენ მას.

**გიული ლიპარტია**

## ვაჟა ჭყონიას სიცილის კარდიოგრამა ქუთაისიდან



### კმარა

**ჩემს** მეგობარს მე-5 ქალიშვილი შეეძინა და სახელად კმარა დაარქვა.

* * *

### ავსტრიის ვიზა?

**ექიმმა** ოსს ნემსები გამოუწერა და გააფრთხილა: არ შეგეშალოს, სხვაგან არ შეიძლება, ვენაში უნდა გაიკეთო!

— როგორ, ცხინვალში რომ გავიკეთო, რა მოხდებაო? — გაუკვირდა.

* * *

### ღამის ქოთნის თავსახური

**ჩემმა** მეზობელმა ღამის ქოთანი შეიძინა და გამყიდველს ეკითხება:

— ბოდიში, ბატონო, ამ ქოთანს თავსახური არ მოჰყოლია?

— მაგ ქოთნის თავსახური უკანალია და თუ არ გქონდა, ღამის ქოთანს რატომღა ყიდულობდიო. — იყო პასუხი.

ვერაფერში შეედავები გამყიდველის უკანალისეულ ლოგიკას.

* * *

### მორუსული გუნდი და მოქართული ბლინკოვი

„ტორპედოს“ უაღრესად მძიმე სატურნირო მდგომარეობის გამოსასწორებლად მოსკოვიდან უფროს მწვრთნელად ბლინკოვი ჩამოიყვანეს. ამასთან დაკავშირებით პარტიის საქალაქო კომიტეტში კარლო ხურციძეს ჰკითხეს: რა შედეგი მოჰყვება ბლინკოვის ჩამოყვანასო.

— ძალიან სერიოზული შედეგი, — უპასუხა კარლომ, — გუნდი რუსულს ისწავლის, ბლინკოვი კი — ქართულს.

### სამპირა

**ბიძინიჩს** ვკითხე, სადაურია შენი სიდედრი-მეთქი.

— ორპირელი, მაგრამ 3 პირი აქვსო.

— ოჯახის მოყვარული თუა-მეთქი.

— როგორ არაო, — მიპასუხა. — იმნაირი კეთილისმყოფელია, კვერცხის გულში ქათმის ძვალს ეძებსო.

* * *

### უბერავს, თანაც როგორ უბერავს?!

**ჭომაში** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ვენტილატორი“ გაიხსნა და ტელევიზიით განცხადება გამოაქვეყნა:

— ასაკისა და სქესის განურჩევლად სამუშაოზე ვიღებთ ყველას, ვინც უბერავს.

ამ განცხადების გამოქვეყნების შემდეგ მხოლოდ ჭომაში კი არა, მთელ ქუთაისში ძალზე ბევრი უბერავს.

### თუ შეიძლო!

**ჟორია** საყვარელთანაა. გაიგო მისმა ცოლმა და მობილურით დაურეკა:

— ჟორია, სად ხარ, ბიჭო?

— სამსახურში. — პასუხობს ჟორია.

— მალე მოხვალ? — ეკითხება ცოლი.

— თუ შევძელი, მალე მოვალ, — პასუხობს ჟორია.

— თუ რამე შეგიძლია, შინ, ჩემთან მოიღიე მაგ საქმე! — დაუყვავა ცოლმა.

— ა, ბიჭო ცოლი! ღმერთმა შეგნებულ ქალთან მოგცეს საქმე!

# სკანვორდი



1. რისამე აღნერა, სია
2. ზღვის პატარა კიბო
3. აზროვნების ორგანო
4. სარტყმელი საკრავი
5. მოულოდნელი შემოწმება
6. კიკო ბანქოში
7. მსახ. რობერტ ... უმცროსი
8. გიბონების ოჯახის მაიმუნი
9. კრედიტი
10. ფულის ნიშნების გამოშვება
11. პატარა ბუ
12. ლენინის გაზეთი
13. მრგვალი რბილი ქუდი
14. ცირკ-ამფითეატრი ძვ.რომში
15. სპილბერგის რიგითი ჯარისკაცი
16. გერმ. მწერალი
17. ძვ.მონეტების კოლექციონერი
18. საქმეების სია
19. განთიადის ღვთაება
20. მახვილსიტყვაობა
21. ტელეფონის გამომგონებელი
22. ქართული ლუდი
23. ინგლისური გაზეთი
24. ოპერა „კარმენის“ ავტორი
25. მათემატიკური მუდმივა
26. მწერალ კლდიაშვილის სახელი
27. კბილის დაავადება
28. ცოდნის „წყარო“
29. „გვიან“ - ანტონიმი
30. ლურჯი საღებავი
31. თამაში კამათლებით
32. ვაჭრების გაერთიანება
33. სამი კამათელზე
34. კორეული ფირმა
35. ფეხბურთის სახელი ამერიკაში
36. ცეკვა ...-ენ-როლი
37. გავრცელების არე
38. „იავნანამ ... ჰქმნა?“
39. ესპანელი კონკისტადორი
40. დაზღვევის მოწმობა
41. ფრანგი მოდელიერი
42. ლენინის ქვრივი
43. კათოლიკე მღვდელი
44. აზიის სახელმწიფო
45. ილიას „ყაჩაღი“ პერსონაჟი
46. სპორტული ფეხსამოსი
47. მკვლელობის მანია
48. ხერხემლის ძვალი
49. თელიანი ხელით საზიდარი
50. ქართ. „ნ“-ს სახელი
51. ნაპოლეონის საყვარელი ცხენი
52. მაუგლის მეგობარი დათვი
53. საქ-ს უშიშროების საბჭოს მდივანი
54. თევზის ნენიანი
55. პურეული მცენარე
56. აშშ-ს შტატი
57. ფლიდი, ფარისეველი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24